619
1973
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 2 თებერვალი 1973

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღესასწაულო პლაკატი.



ნახატი საბჭოთა კავშირის
სახალხო მხატვარ
ლადო გუდიაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# დროშა

№ 2 (135) თებერვალი 1973 წ

გამოცემის წელი 50-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო
სამხატვრო ჟურნალი

# მოდით ჩვენთან, სტამბაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ პოპიაშვილი ლინოტიპთან.

ფოტოები თ. არჩვაძისა.

12144

არის ინდუსტრიის ერთი თავისებური დარგი, ურომლისოდაც კაცობრიობას არსებობა არ შეუძლია. ამ დარგის ოსტატები არც ნაგლინსა და მილებს უშვებენ, მათ არც სამთო გვირაბები და ქაბურღილები გაჰყავთ, არც კონცენტრირებულ მინერალურ სასუქებს ამზადებენ, არც ქიმიურ ბოჭკოებსა და პლასტმასის ნაწარმს, არც სასურსათო საქონელს აწარმოებენ, არც თოთხმეტსართულიან სახლებს აშენებენ, არც უსწრაფეს ელმავლებსა და ჩარხებს აწყობენ, მაგრამ ყველას — აქ ჩამოთვლილი დარგების ოსტატებს ინდუსტრიის იმ ერთი თავისებური დარგის პროდუქციის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

ის, რასაც ამ ერთი თავისებური დარგის მუშაკი აკეთებს, უზარმაზარი ძალის მქონეა, ელმავალზეც უფრო სწრაფია, ფოლადზეც უფრო მტკიცეა; რაც კაცობრიობას სიბრძნე და გამოცდილება დაუგროვებია — ყველაფერი მასშია, ყველაფერი წიგნის ფურცლებზეა აღბეჭდილი, და ამ წიგნის ბეჭდვა-გამოშვებას ოსტატების მთელი არმია ემსახურება. ხოლო წიგნსა და გაზეთს მიაქვთ ხალხთან პარტიის მართალი სიტყვა, რუსთაველისა და ვაჟას ლექსიც ოსტატის ხელით დაკაბადონებულმა სტრიქონებმა უნდა მიიტანონ ხალხის გულამდე.

წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რომლებიც პოლიგრაფისტის ხელით იქმნება, საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ქართველ ხალხს თავიდანვე მთელი გატაცებით უყვარდა წიგნი და სასტამბო საქმე. საქართველოს მეფე ვახტანგ VI, დიდი პატრიოტი, ფრიად განსწავლული და უჭკვიანესი კაცი, იყო იმავე დროს, ყველაზე დიდი პირველი ქართველი პოლიგრაფისტი, პირველი ქართული სტამბის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ის იყო პირველი კორექტორიც, ის გვერდით ედგა ასოთამწყობს, ისტორიაში პირველად რომ აწყობდა „ვეფხისტყაოსნის" სტრიქონებს, და ეს იმ დროს, როცა მტრის ურდოები დედაქალაქის კართან იყვნენ მომდგარნი, ყიზილბაშთა მზვერავები უკვე მახათას მთიდან დასცქეროდნენ ქალაქს, ხოლო საბეჭდი დაზგა მაინც არ წყვეტდა მუშაობას.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უყვარდათ ჩვენს წინაპრებს პოლიგრაფიის საქმე, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ადგილს მოვიყვანთ თეიმურაზ ბატონიშვილის წერილებიდან, რომლებიც მას პეტერბურგიდან პარიზში აკად. მარი ბროსესათვის მიუწერია; ერთ წერილში ვკითხულობთ:

„პირველი საქმე ეს არის, რომ კარგი ასოები ვიშოვნოთ, რომ მშვენიერი იყოს, რადგან ქართველებს დიაზ უყვართ მშვენიერი ხელი".

აი, ნაწყვეტი მეორე წერილიდან:

„ქართული ასოების ფული გამოგიგზავნე ოცდაათი თუმანი, აქაური, რომელიცა იქს სამას რუბლსა... გთხოვ, რომ ეცადნეთ ოსტატს კარგად გააწყობინოთ ასოები. თქვენ უყუროთ და ისე გააწყობინოთ, რომ დაბეჭდვაში მრუდედ და შორს არ მოვიდეს ასოები და ნიშნები"...

მესამე წერილში თეიმურაზი ისევ შრიფტის გამო წუხს:

„გთხოვ, ჩემო უსაკუთრესო მეგობარო, ასოთ მოჭრის საქმე აღარ დაუტევოთ და, როგორც რიგია, რვალზედ. ამაში შ ეს ასო კარგად არის, ბანთან და ნართან რომ დაჯდეს, არ დაუშლის. ბ ეს ასოც დიაზ კარგი არის, არც ბანი დაუშლის სხვა ასოსთან, ნართან ან შანთან რომ დაჯდეს. ცოტა მრუდე არის, გაასწოროს მოჭრაში".

მეოთხე წერილში აღნიშნულია:

„დიდად კმაყოფილება იქმნებოდა ჩვენის ქართველებისათვის, რომ ვეფხის-ტყაოსანი დაიბეჭდოს ერთს წიგნად და კიდეც იყიდიან და კარგს ფასად გავიდოდა. და ეგების ეცადნეთ კარგის ასოებით, კარგს ქაღალდზე მოამზადოთ და დაიბეჭდოს... მარტო მხედრულის ასოებით დაბეჭდეთ, ხუცურს ნუ ჩაატანთ ამისთვის, რომ საქართველოს სოფლებში მცხოვრებნი ძალიან ეწყობიან, მდაბალი ხალხი ძალიან კითხულობს ვეფხის-ტყაოსანსა და იმათში ხუცური ბევრმა არ იცის... ფრანციცულად დაბეჭდვა, როგორც თქვენი სურვილი არის, რომ ფრანციის წერილთ მოყვარეთ წარიკითხონ და შეიტყონ რუსთაველის შრომა, დიაზ კარგად გიფიქრიათ და დიდად მომწონს თქვენი განზრახვა და შრომა...

მე ერთი სათხოველი მაქვს თქვენთან: ხუცურის წერილის ასოები მინდა. თუ შეიძლება, მანდ, პარიზში, გამიკეთებინე ჩემი ხარჯით".

ახლა გაიხსენეთ XIX საუკუნის მეორე ნახევარი — სტამბის მუშები ღამეებს ათენებდნენ და ერთიმეორეს ეცილებოდნენ, თუ ვის უნდა აეწყო ილიას ახალი მოთხრობა, აკაკის ახალი ლექსი, ვაჟას ახალი პოემა; კითხულობდნენ აწყობის დროს და მერე, თავიანთი ხელით დაბეჭდილს, ხელახლა კითხულობდნენ...

* * *

ქართველ პოლიგრაფისტთა საუკეთესო ტრადიციები ესტაფეტასავით გადაეცა ჩვენს თანამედროვეობას.

საბჭოთა საქართველოს დღეს ჰყავს მოწინავე, მაღალკვალიფიციური პოლიგრაფისტების გამობრძმედილი არმია, რომელიც ერთგულად და საიმედოდ ემსახურება დიდ სახალხო საქმეს.

მაგრამ ქართულ სტამბას, არა მარტო დედაქალაქში, არამედ მთელს რესპუბლიკაში აქვს მთელი რიგი სიძნელეები, გადასაწყვეტი პრობლემები, რომლებიც უახლოეს ხანში უნდა მოგვარდეს. სწორედ ამ პრობლემებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა გამოცდილ ლინოტიპისტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს თამარ პოპიაშვილს, აი, რა გვითხრა მან:

— პოლიგრაფიული ბაზა კადრების ნაკლებობას განიცდის. დენადობის პროცენტი ძალიან მაღალია. მოვა ახალგაზრდა წარმოებაში, ერთი-ორი თვე წაიმუშავებს, მერე გული აუცრუვდება, რაღაც უფრო სარფიან სამუშაოს გამონახავს და მირბის. შრომაც წყალში ჩაიყრება და წარმოებაც სამუდამოდ ჰკარგავს კადრს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



რედაქციიდან ტექსტი მოიტანეს ასაწყობად.

პირადად მე რამდენიმე მოსწავლე მოვამზადე. ძალა და ენერგია არ დამიზოგავს, ყოველნაირად ვცდილობდი საქმისადმი სიყვარული ჩამენერგა მათთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ამაოდ დავშვრი. ჩემმა მოსწავლეებმა, პირველ ხელსაყრელ მომენტისთანავე, ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე მიატოვეს სტამბა.

რაშია საქმე? რატომ მიდიან ახალგაზრდები პოლიგრაფიული წარმოებიდან?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდე, ერთი ამბავი მინდა გავიხსენო.

ჩვენს კოლექტივში ოცდახუთ წელზე მეტია მუშაობს საუკეთესო მეტრანპაჟი თენგიზ ბეგიაშვილი.

მოხდა ისე, რომ თენგიზი ავად გახდა. ბოლოს, როგორც იქნა, თენგიზს ექიმებმა ფეხზე წამოდგომის ნება მისცეს. როგორ გგონიათ, სად წავიდა რამდენიმე თვეს შინ ჩაკეტილი და ქვეყნის ნახვას მონატრებული კაცი: ბაღში გასასეირნებლად? კინოში? არა, თენგიზი პირდაპირ სტამბაში წამოვიდა.

დავინახეთ ლასლასით მომავალი მეგობარი და შევიცხადეთ:

— კაცო, რამ მოგიყვანა აქ?

და იცით რა გვიპასუხა ძველმა პოლიგრაფისტმა?!

— ახლად დაბეჭდილი გაზეთის სურნელი მომენატრა... განა ვიცოდი, თუ ასეთი თილისმა ჰქონდა სტამბას? საკმარისია მიეჩვიო, რომ ვერასოდეს ვეღარ მიატოვებ მას!

ამ სიტყვებს უნდა ჩაუფიქრდეს სტამბაში მოსული ყველა ახალგაზრდა.

პირადად მე, გულახდილად უნდა გითხრათ, სტამბის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ცხოვრება. სტამბას, მართლაც, თენგიზისა არ იყოს, სულ სხვა თილისმა და რომანტიკა ჰქონია.

გამოდიხარ დილით ქუჩაში. ხედავ გაზეთის ჯიხურს ხალხი მისევია. ყველა, დიდი თუ პატარა, ხარბად ჩასცქერის ფურცლებს.

გული სიხარულითა და სიამაყით გევსება. იცი, ეს გაზეთი შენ ააწყე, შენმა მეგობარმა დააკაბადონა, შენმა უახლოესმა კოლეგამ დაბეჭდა.

შენ, პირადად შენ იყავი ამ წიგნისა თუ გაზეთის დაბადების მომსწრე; იქ, სტამბაში, სხვებთან ერთად ტრიალებდი, განიცდიდი, ქმნიდი, ჯერ კიდევ სალებავშეუმშრალ გაზეთს იტაცებდი მანქანიდან.

და იცით, რა გრძნობაა ეს?!

მე მგონია, ერთ-ერთი მიზეზი ახალგაზრდა მოწაფის სტამბიდან გაქცევისა ისიც არის, რომ ეს სიყვარულის გრძნობა ვერ გავუღვიძეთ. ეს, ასე ვთქვათ, მორალური ფაქტორია. მოწაფეები ვერ ასწრებენ შეიყვარონ თავიანთი საქმე, ვერ ასწრებენ განიცადონ ის გრძნობა, რომელმაც თენგიზ ბეგიაშვილი ლასლასით მოიყვანა სტამბაში.

მარტო პროპაგანდა საქმეს ვერ უშველის. მე ვფიქრობ, ჩვენ, პოლიგრაფისტებმა, უნდა გამოვძებნოთ ახალი მეთოდები, ახალი ხერხები და მიდგომის ახალი ფორმები. უფრო ახლოს, უფრო მჭიდრო და საქმიან კონტაქტში უნდა ვიყოთ სტამბებში მოსულ ახალგაზრდებთან, რომ ეს სიყვარული მათს გულებსაც გადავცეთ.

ეს არის საქმის ერთი მხარე. მეორე მხარე, და მე ვიტყოდი, მნიშვნელოვანი მხარე, მატერიალური დაინტერესებაა.

რას იღებს სტამბაში მოსული ახალგაზრდა? მისი ხელფასი თუ გამომუშავება მცირეა. და აი, გამოჩნდება სხვაგან უფრო ხელსაყრელი ადგილი და ადამიანი, რომელიც მომავალში შეიძლება კარგი პოლიგრაფისტი გამხდარიყო, ქუდის მოუხდელად დაგვიკრავს თავს.

რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ახალგაზრდების გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენთან, სტამბაში, კარგი პოლიგრაფისტის გამომუშავება 200-250 მანეთს ზოგჯერ კი სამას მანეთამდეც აღწევს. ახლა ამას დაუმატეთ წლიური პრემია. ნურც ის დაგავიწყდებათ რომ მუშებს უფასოდ ეძლევათ რძე, მეორე ცვლაში კვება უფასოა. ყველაფერი სათვალავშია ჩასაგდები. მშობლებს, რომლებსაც სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში გამომცემლობა გარკვეული თანხით უმართავს ხელს.

ჩვენთან, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ასოთამწყობსაც, მბეჭდავსაც, ამკინძავსაც, ყველა დარგის ოსტატს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეს. პოლიგრაფისტებზე მზრუნველობის ნათელი მაგალითია ისიც, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, მომავალ წლიდან საგრძნობლად დიდდება პოლიგრაფისტების ხელფასი.

ერთი ხელის დაკვრით ქალაქი არავის აუშენებია. მოთმინებაა საჭირო. ჯერჯერობით უფრო სარფიანი სამუშაოს ცდუნებამ არ უნდა სძლიოს ახალგაზრდა. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელი ორიოდე გროშით მეტი თანხა ხომ არ უნდა წყვეტდეს ყველაფერს?! მთავარი მომავალია. მოდით ჩვენთან, ჩვენი ჭირი და ლხინი გაიზიარეთ, შეიყვარეთ ჩვენი საქმე და დარწმუნებულები იყავით, ცუდი მომავალი არ გექნებათ! ცუდი კი არა, მშვენიერი მომავალი გექნებათ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთ საკითხს შევეხო.

ამჯერად ჩემს მაგალითს მოვიშველიებ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვედი სტამბაში. ექვს თვეში კარგად დავეუფლე პროფესიას და ლინოტიპისტად დავიწყე მუშაობა.

სამუშაომ გამიტაცა. მალე ისე შევეჩვიე აქაურობას, რომ სტამბიდან წასვლა არც კი მიფიქრია.

გადავწყვიტე დაუსწრებლად შევსულიყავი უმაღლესში. და აი აქ წამოიჭრა საკითხი, რომელიც, ჩემი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პოლიგრაფიის კადრებთან.

აკი გითხარით, მე სტამბის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. უმაღლესში მინდოდა შესვლა, მაგრამ საქართველოში პოლიგრაფიული დარგის უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს. რა მექნა? ავდექი და მათემატიკურზე შევედი.

ახლა სტუდენტი ვარ. მაგრამ არ იფიქროთ, რომ უმაღლესის დამთავრების შემდეგ პროფესიის გამოცვლას ვაპირებდე. არა! ლინოტიპს თავს არ დავანებებ. მე სხვა ჟურნალებთან ერთად, ერთ დარგობრივ ჟურნალსაც ვემსახურები. ამ ჟურნალს ჰქვია — „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში“.

ძნელად ასაწყობი ჟურნალია, ფორმულებით სავსე. და აი აქ მეხმარება ჩემი მათემატიკის ფაკულტეტი!

* * *

ვუსმენთ თამარის სიტყვებს და უნებურად მახსენდებიან ახალგაზრდა ვაჟები და ქალიშვილები, წლიდან წლამდე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე რომ გადიან, და რაკიღა მოწოდება არა აქვთ, ვერ აბარებენ. მაინც უცნაურ სიჯიუტეს იჩენენ, ყოველ მორიგ წელს ხელახლა სცდიან ბედს. არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდა აბარებს ხუთი, შვიდი, ზოგჯერ ათი წელიც კი! ამასობაში მიდის ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, ამაოდ იკარგება დრო, ენერგია, წუხს ოჯახი, ნერვები აწყდება დედას, მამას; რამდენი ოჯახია, სადაც აგვისტოს ბოლოს მოთქმა-ტირილი ისმის? რატომ? რისთვის? რატომ ვქმნით ამ ხელოვნურ ტრაგედიებს? განა არ სჯობდა ყველა ასეთი ახალგაზრდა, ან მისი მშობელი დაფიქრებულიყო. ის უმალ მიხვდებოდა, თუ რაოდენ მართალი, სწორი გზა აირჩია თამარმა. მარტო სტამბაზე კი არ ჩამოწყდა ყველაფერი — მიდი, სადაც გინდა, საითაც გულმა გაგიწიოს, მუშახელი ყველგან სჭირდება ჩვენს ქვეყანას; და თუ მაინცდამაინც უმაღლესის გარეშე არ შეგიძლია, უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტისაკენ მიმავალი გზაც ეს არის; ამას მარტო თამარის კი არა, ათასი და ათიათასი ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდის ცხოვრების მაგალითი ამტკიცებს. აირჩიე ეს გზა და მარტო აღარ იქნები. ყველა, მთელი კოლექტივი დაგეხმარება შრომაშიც, სწავლაშიც, უმაღლესში შესასვლელადაც შეგიწყობს ხელს, სხვა მხრივაც, თუ რამე გაგიჭირდა, მხარში ამოგიდგებიან, შენს ჭირსაც შეამსუბუქებენ და ლხინსაც გაიზიარებენ... იყავი კარგი ადამიანი და ეს არის ყველაფერი, ეს არის გადამწყვეტი, ეს არის უპირველესი!

* * *

1978 წელი — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელია; ამ წლის შედეგებზე ბევრად იქნება დამოკიდებული ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, — ასეა აღნიშნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივ დადგენილებაში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

თავდადებით იღვწიან საბჭოთა ქვეყნის მშრომელები, რათა მიმდინარე წელი აღნიშნონ დამკვრელური დიდად ნაყოფიერი შრომით, ერთიმეორეს ეჯიბრებიან მოწინავე მუშები, ბრიგადები, უბნები, საამქროები, საწარმოები, მშენებლობების კოლექტივები, ყოველდღიურად უფრო ფართოდ იშლება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება და ჩვენი მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები არ იშურებენ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ქვეყანას მისცენ მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

ჩვენმა პოლიგრაფისტებმაც კარგად გაუსწორეს მხარი ამ დიდ სახალხო მოძრაობას. მათ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი!

დიღმის წიგნის ფაბრიკა. — ასე ეწოდება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ გიგანტურ საწარმოს, რომელიც თბილისში, მეგობრობის პროსპექტზე შენდება.

ორიოდე ციფრი ნათლად დაგვანახვებს, თუ ამ ბოლო ხანებში რაოდენ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ამ ფაბრიკის მშენებლობა: 1966-1970 წლებში, ე. ი. ხუთი წლის მანძილზე ფაბრიკის მშენებლებმა 1 მილიონ 800 ათასი მანეთი აითვისეს. ბოლო ორ წელიწადში კი — 2 მილიონ 200 ათასი მანეთი.

დიდმის წიგნის ფაბრიკა მიმდინარე წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ამჟამად აქ ამონტაჟებენ ახალ დანადგარებს, გაჰყავთ ვენტილაცია, აწყობენ კონდიცირებული ჰაერის სისტემას...

ცივი აწყობის უნიკალური მანქანები, წიგნის მაგარ ყდაში გამოშვების ნაკადური ავტომატიზირებული ხაზი და მთელი რიგი სხვა მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები პირველად ინერგება საქართველოში. თავისთავად ცხადია, ამ ტექნიკას სათანადო მოვლა-პატრონობა და მთელი დატვირთვით გამოყენება სჭირდება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ წიგნით ვაჭრობის, გამომცემლობებისა და პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა შეადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ქართველი პოლიგრაფისტების მივლინებას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მოწინავე სტამბებში. ქართველი მუშები და ინჟინრები პრაქტიკულად გაეცნობიან ახალ ტექნიკას, აითვისებენ მათ მართვას, აიმაღლებენ კვალიფიკაციას და ყოველმხრივ მომზადებულები შეხვდებიან დიდმის წიგნის ფაბრიკის მწყობრში ჩადგომას.

დიდომში, მეგობრობის პროსპექტზე, წიგნის ფაბრიკის პირდაპირ, კოხტად აღმართულა თოთხმეტსართულიანი შენობა. ეს შენობა პოლიგრაფისტების საცხოვრებელი სახლი იქნება. კიდევ რამდენიმე ხანი და შენობას ხარაჩოებს ჩამოხსნიან. ნათელ ოთახებში სიცოცხლე, სიხალისე და ოჯახური მყუდროება დაისადგურებს.

მეგობრობის პროსპექტზე მშენებარე სახლი ელის ახალ მობინადრეებს, სტამბაში მოსულ ახალ კადრებს.

ახალგაზრდა პოლიგრაფისტთა კადრების აღზრდისა და მათი მოზიდვის მიზნით. პოლიგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით, არქიტექტორებმა შეიმუშავეს პოლიგრაფიული პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის ინდივიდუალური პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, დიდომში, წიგნის ფაბრიკის მახლობლად, შეიქმნება კეთილმოწყობილი სასწავლებლებისა და საერთო საცხოვრებლების ახალი კომპლექსი.

მომავალი პოლიგრაფისტები დიდომში იცხოვრებენ და თეორიულ სწავლებასთან ერთად, საწარმოო პრაქტიკასაც იქვე, წიგნის ფაბრიკაში გაივლიან.

ახლა უველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პოლიგრაფიული ბაზა, რაც შეიძლება სწრაფად იქნას გადაყვანილი თანამედროვე ინდუსტრიულ რელსებზე.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თბილისში მოქმედი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ტექნიკური გადახალისება. საამწყობო საამქროში შეიცვალა ლინოტიპის პარკი, ასევე იცვლება საბეჭდი მანქანების მოძველებული პარკიც.

ამას წინათ ლენინგრადის საპროექტო ინსტიტუტმა დაამთავრა თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საამკინძაო საამქროს კომპლექსური მექანიზაციის პროექტი. ეს პროექტი განხილული და მოწონებული იქნა.

პროექტით გათვალისწინებულ სიახლეთა დანერგვის შემდეგ საამქროს სიმძლავრე 20-30 პროცენტით გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ხანში, ხარისხის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზრდება წიგნების ტირაჟიც.

ხარისხის ამაღლების მიზნით, კომბინატში ამჟამად ფართოდ ინერგება წიგნის პირველ მოთხოვნისთანავე პროდუქციის უნაკლოდ ჩაბარების მეთოდი.

ქართული წიგნი ერთ-ერთი სწრაფად გამოცემული, მაგრად შეკრული და ლამაზად გაფორმებული პროდუქცია იქნება მთელს საბჭოთა კავშირში.

* * *

ჩვენს მკითხველებს აქვე გვინდა ვაცნობოთ ერთი სასიამოვნო ამბავიც.

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შედგება სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური დახმარების საბჭოს პოლიგრაფიული სექციის გამსვლელი სესია.

ეს სესია ჩვენი პოლიგრაფისტების დიდი დაფასება, მათი ღვაწლისა და გმირული შრომის ფართოდ აღიარებაა.

სესია ქართველი პოლიგრაფისტების დიდი სკოლაც იქნება. აქ ჩვენ საშუალება მოგვეცემა, მთელი რიგი პრობლემური საკითხების განხილვა-გადაჭრასთან ერთად, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მსოფლიოში სახელგანთქმულ პოლიგრაფისტებთან.

გუტენბერგის ქვეყნის, ასევე ჩეხოსლოვაკელი, პოლონელი, უნგრელი პოლიგრაფისტებისაგან ჩვენ ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ და შევიძინოთ.

წინ დიდი და ფართო პერსპექტივებია.

ოთარ დემეტრაშვილი.

მთვარისა კერესელიძე

## მამულო ჩემო

დიდებულ ტაძრის
გალავნის ჩრდილში
ლურჯი იები
არიან ჩუმად,
და ამშვენებენ
იმ უკვდავ ტაძარს,
წუთისოფელში
მოსულნი სტუმრად.
გააბრუებენ
იის სურნელით
ფრესკებს და,
მერე მიდიან ჩუმად,
დიდებულ ტაძრის
გალავნის ჩრდილში,
იები სდუმან.
მე ეს ტაძარი
შენს თავს მაგონებს,
ია კი მე ვარ,
შენი სტუმარი,
სულ უხმაუროდ
მოსული შენთან
ნაზი მდუმარი.
შენ შემოგწირავ,
რაც გამაჩნია,
ან რასაც შევქმნი
მამულო ჩემო,
და ისე წავალ,
როგორც მაისში
იათა ჩერო.

## ზღვასთან

ზღვაო, დამიხსენი ფიქრებიდან,
მე ახლა სიმშვიდე მწყურია.
ილვიძებს ძველი მითებიდან
დიოსკურია.
მთვარე ცით მიცურავს ნაზი, —
ლურჯი ცის ნათელი გემი,
და როგორც ტალღები ზღვაზე,
იძინებს ქალაქი ჩემი.
ზღვა ღელავს, ღელავს და ბორგავს,
ალბათ თუ გულში ვერ მალავს,
ოდესღაც ჩადენილ ცოდვას,
ოდესღაც ჩაძირულ ქალაქს.
ვდგავარ ამ საოცარ ალაგს,
და არ მეკარება რული
და არწევს ჩაძირულ ქალაქს
ტალღების მშფოთვარე სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ახალგაზრდა მუშები.

კონსტანტინე გამსახურდია

# მგლური მეგობრობა

ჩემს შვილიშვილს, პატარა კონსტანტინეს ვუძღვნი.

I

ადრიან სიჭაბუკიდან მაგონდება: განსვენებული მამაჩემი მოწადინებული იყო მე და ჩემს ძმას ნიადაგ უნდა გვენადირნა, თოფის სროლაში და ისინდის ტყორცნაში გვევარჯიშნა.

მერმე ის იყო, ჩვენ ისე კარგად ავითვისეთ ეს ყოველივე, გაჭენებული ცხენიდან ვესროდით ხარიხაზე დაკიდებულ მათრახს და ზედ ენაზე ვახვედრებდით.

ბოლო ხანს თვით უძნელესი რამ ავითვისეთ. უბელო ცხენს ვაჭენებდით, ჩამოვხტებოდით და მეორე მხრიდან შევახტებოდით.

ერთ დღეს მამამ შეგვნიშნა, მე და ვანო არხეინად ვიწექით ჩვენი შტომრავალი კაკლის ძირას და სასაცილო ამბებს ვუყვებოდით ერთიმეორეს.

მამა თავს წაგვადგა და გვითხრა:

„ადრე დამიბერდით, ბიჭებო, სამხრულ დასვენებას შესდგომიხართო. ხვალ უთენია წადით სირიაჩქონს და ჩვენი ათივე ცხენი აქ მომგვარეთ“.

მეორე დღეს ბევრი ვეძებეთ, მაგრამ სირიაჩქონში ვერც ერთი ცხენი ვერ ვიპოვეთ. მერმე ის იყო, პალიასტომის ტბისკენ გავიარეთ.

აქ კი ვიხილეთ უცნაური სანახაობა, რომელიც დღემდე არ დამვიწყნია. ცხრა ცხენი ნებიერად ბალახობდა მეჯოგის კარვის მახლობლად, ხოლო მეათეს ამბავი არც თუ სახუმაროდ გვეჩვენა. ჩვენი საყვარელი ლაფშა, რომელსაც ლომას ვეძახდით, სამ მგელს გაენაპირებინა. ლომა ვაჟკაცურად ებრძოდა სამივე მხეცს, ზოგს ტორებს უთავაზებდა, ზოგსაც საკბენად წაეტანებოდა. ორი მგელი შავი ზღვისაკენ ეზიდებოდა ლომას, ხოლო მესამე ჩვენსკენ, ე. ი. იმ ნაპირისაკენ, რომელზედაც ჩვენ ვიდექით. ეს იყო მკერდშევერცხლილი უზარმაზარი მგელი.

ჩვენ თოფიანები რა დაგვინახეს, ორმა მაშინვე მოუსვა, ხოლო მესამემ ველარ მოასწრო გაძრომა და მე მას ვუთავაზე მკერდში ქაკანი. ხოლო გაქცეულთაგან ერთს ვანომ მიართვა ქაკანის ტყვია. მაგრამ მგელმა ჩაყვინთა და მერმე მისი გასაგისიც ველარ ვიხილეთ.

II

ჩვენ დიდად გავიხარეთ მგლებზე გამარჯვებით. ეს ყოველივე მამას ვუამბეთ. მე ჩვენს მოხსენებას დავსძინე: ორი მგელი შავი ზღვისაკენ ეზიდებოდა ლომას, ხოლო მესამე ჩვენსკენ, ის მესამე აღმოჩნდა მეთქი ჩვენი ნამდვილი მეგობარი.

მამამ ირონიულად გაგვიღიმა და სთქვა: „ჰე, თქვე ნაცარქექიებო, ის მესამე თქვენსკენ კი არა, თავისკენ ექაჩებოდა საცოდავ ლომას“.

* * *

ეს იგავი მაგონებს მავანსა და მავან მოღვაწეებს, რომელნიც ამ ბოლო ხანს მომრავლდნენ ჩვენში. მუშაობისას ისინი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქოს ჩვენი ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის ზრუნავენ, მაგრამ საქმით იმ პალიასტომელ მგელს მაგონებენ, რომელიც მართლაც ჩვენსკენ კი არა, თავისაკენ ეზიდებოდა ჩვენს ლაფშას.

ტფილისი. კოლხური კოშკი.

1972, 25.XI.



დილა სოფლად

ფოტო ი. დავითაშვილისა და გ. კიკვაძისა

## გემი, რომელიც მიწაზე დადის

ახლად დაჭერილი თევზით სავსე ტრაულერი გზატკეცილზე მიჰქრის... სურათი თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ასეთი გემი ნამდვილად არსებობს. იგი ააგეს თევზის მრეწველობის მექანიზაციის ინსტიტუტის სპეციალისტებმა „ზილ“ მარკის ავტომობილის ბაზაზე. ტრაულერი „ამფიბია“ გათვალისწინებულია დაშორებული ტბებისა და გუბურებისათვის. ერთ ტონამდე ქანარით, კაპარჭინათი და ფარგით დატვირთული გემი გადმოდის მიწაზე და პირდაპირ მიმღები პუნქტისაკენ მიემართება. ტრაულერზე პაპანაქება სიცხეშიც კი მშვენივრად ინახება ახალი თევზი, ბუნკერებში არის მაცივარი. „ამფიბიის“ ეკიპაჟი ხუთი კაცისაგან შედგება. მალე დაიწყება ასეთი ტრაულერების სერიული გამოშვება.

## ლუდი — რძის ნაწარმი

ლუდი რძიდან... დიახ, უზბეკეთში ალმალიკის რძის ქარხანაში დაამზადეს ლუდი რძიდან. ეს სასმელი ფერითა და გემოთი პოპულარულ „ჟიგულის“ ლუდს მოგვაგონებს. რძის წაქიდან დამზადებულმა ამ სასიამოვნო სასმელმა მაღალი შეფასება მიიღო ახლახან გამართულ საკავშირო კონკურსზე, რომელზედაც წარმოდგენილი იყო რძის ახალი სასმელები.

## თესვა ცისფერ ჰექტარებზე

კასპიის მეთევზეებმა თავისებური თესვის კომპანია ჩაატარეს ვოლგის დელტასა და კასპიის ზღვის სანაპიროზე. მათ ამ ადგილებში 28 მილიონი თართის ლიფსიტა ჩაუშვეს. უკანასკნელ წლებში სვიის ლიფსიტების ჩაშვება ასტრახანის ოლქში ხუთჯერ გადიდდა, ამ ძვირფასი თევზის რაოდენობა კი — ოთხჯერ. სწავლულები თვალყურს ადევნებენ მოზარდ თევზს. მოცემული შედეგები ნათელყოფენ თევზის მომრავლების ამ მეთოდის ცხოველმყოფელობას.

## უცნაური მაცივარი

შვეიცარიის სწავლულებმა სთხოვეს საბჭოთა სპეციალისტებს მოეთხროთ ხორცისა და კარაქის კონსერვაციის მეთოდზე, რომელსაც უძველეს დროში მომთაბარეები იყენებდნენ. ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი მოამზადეს ყალმუხმა სპეციალისტებმა. ყალმუხებს აქვთ კონსერვაციის უძველესი მეთოდი, რომელსაც ათასობით წლების ტრადიცია აქვს. ისინი სურსათ-სანოვაგეს ერთ წლამდე კარგად ინახავენ კუმისითა და მარილით საგულდაგულოდ დამუშავებულ ცხოველების კუჭში და სხვა ორგანოებში. შენახვის ერთადერთი პირობაა: სანოვაგე უნდა იყოს ბნელ ადგილას. ექსპერტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ „ტარის“ წყალობით კარაქს, ხორცს, ბრინზას უფრო კარგი გემო ეძლევათ.

## ბარათი ტყვიის ფირფიტაზე

ძველი ბერძნული წერილი, რომელიც ტყვიის ფირფიტაზე იყო დაწერილი, გრაგნილის სახით, იპოვეს არქეოლოგებმა შავი ზღვის კუნძულ ბერეზანზე. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იგი დაწერილია მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ვიღაც ვაჭარი წერილში მოუთხრობს თავის შვილს იმ უბედურებაზე, რაც მას თავს დაატყდა ვინმე მატასის მზაკვრობისა და ავკაცობის წყალობით.

რამაზ ბარკალაია

# ბახულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი.

ოჩხომეში ერთი მამალიც არ იყო, ბახულიაზე ადრე და იმაზე უკეთ დაეყივლა. სულ პატარა ბიჭი იყო ბახულია, ცხრა წლისა, მაგრამ სადღაც, საქათმის ახლოს, ბალახებში მიმალული რომ დასძახებდა — ყიყლიყოო, უმალ აჰყვებოდნენ ხოლმე მთელი სოფლის მამლებიცა და ყვინჩილებიც. ზოგჯერ ისე უდროოდ გაისმოდა მისი ხმა, ოჩხომელ მამლებს უკვირდათ — რა დროს ახლა ყივილიაო, მაგრამ ისე კარგად, გამომწვევად და რიხიანად ყიოდა ეს ონავარი ბიჭი, მამლებს თავიანთი თანამოძმე ეგონათ, და არ შეეძლოთ არ აჰყოლოდნენ.

მამლის ყივილი რა არის, რაღა არ შეეძლო ამ ცელქსა და მოუსვენარ ბავშვს... ჩიტივით თავისუფლად იზრდებოდა, ხან ტყეში გაიჭრებოდა, ხან — ველად; ტყის რომელი ფრინველი გინდათ, რომ ბახულიას ოსტატურად არ მიებაძოს, არ გამოეჯავრებინოს. ძაღლივით ყეფას ხომ ნუღარ იკითხავთ! ხან ბომბორა ქოფაკის ბოხი ხმა ჰქონდა, ხანაც პატარა ლეკვს ისე მიბაძავდა, გამოცდილ მწყემსებსაც შეაცდენდა ხოლმე. ახლომახლო სამეზობლოში ბახულიამ ყველას მოსვენება დაუკარგა თავისი ოინებით. აძვრებოდა ხეზე და ხან კაჭკაჭი იყო, ხან ოფოფი... ხანაც სკვინჩა ჩიტივით მოჰყვებოდა გაუთავებელ სტვენას. თავმობეზრებული მეზობელი, ვითომ ჩიტს ავუქშევო, ბელტს ესროდა ხოლმე ხშირ ფოთლებში. ბახულია ცოტა ხნით მიყუჩდებოდა, ხმას გაკმენდდა, მაგრამ როგორც კი მეზობელი თვალს მიეფარებოდა, კვლავ სტვენას იწყებდა.

შეწუხებული იყო ხალხი, ბევრჯერ სახრითაც გამოსდგომიან, მაგრამ ქარივით სწრაფ ბიჭს ვინ დაეწეოდა.

სექტემბერი რომ მოაწევდა და ვენახში თვალი შევიდოდა, ბახულიაც იქით მიცუნცულებდა. ერთი ეს იყო, იმ კისერმოსატეხმა თავისი და სხვისი არ იცოდა, ქარვისფერ მტევანთან მუხლზე წამოიჩოქებდა და ტკბილად შეექცეოდა მსხვილ-მსხვილ მარცვლებს. დღისით-მზისითაც რომ ექნა ასე, თითისხელა ბალღს ამას ვინ დაუშლიდა, მაგრამ ბახულია აბა რის ბახულია იქნებოდა, რაღაც ოინბაზობა არ ჩაედინა., ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ვენახის პატრონმა ეჭვი მეზობლის ძაღლზე აიღო, დილით, ადრიანად ძველი, დაჟანგებული თოფი გამოიტანა და წმენდას შეუდგა. სად იყო სად არა, ბახულიამ ჩამოირბინა მის ღობესთან, დაინახა ვენახის პატრონის ეს თადარიგი და მიუხვდა მის განზრახვას. იმ ღამით, სანამ ვენახის პატრონი გამოჩნდებოდა, ბამბის ვეება სათამაშო ბომბორა ლეკვს დასტაცა ხელი, უფროსმა დამ, მარომ რომ ჩამოუტანა ფოთიდან, წაიღო ეს სათამაშო და მსხმოიარე ვაზთან ისე დადგა, პირი ზედ ყურძნის მტევანზე მიადებინა. მერე იქვე ცოტა ხნით ჩაიმალა, ძაღლივით ატეხა ყეფა და საითღაც მოკურცხლა.

ვენახის პატრონს შინ რაღა გააჩერებდა, მყისვე გამოვარდა გარეთ, ხედავს ძაღლი მტევანს მისდგომია... არც აცია თურმე და არც აცხელა... დაახალა და დაახალა თოფი. ბომბორა წაიქცა, მივიდა კაცი, წაჰკრა წიხლი და ეუცნაურა, მოჰკიდა ხელი და ტყვიით დაცხრილული სათამაშო რომ შერჩა ხელთ. ჯერ გაბრაზდა, მაგრამ მერე სიცილი აუტყდა.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი რამ ჩაუდენია ბახულიას. ხომ ასეთი კვიმატი იყო, მაინც ყველას უყვარდა. ერთი კარგი ჩვევა ჰქონდა: ვინმეს რომ შეაწუხებდა, აწყენინებდა, შემდეგ ახლოს უტრიალებდა, არა, ისევ რაიმე საავზნეოს ჩასადენად კი არა, უთვალთვალებდა რას აკეთებს და რაში შეიძლება მივეხმაროო. თუ წყალი მოჰქონდა, თვითონაც მეორე დოქით ამოუდგებოდა გვერდით, ფიჩხი მოჰქონდა, ტვირთს ჩამოართმევდა, თუ მეზობელი ბოსტანს მარგლიდა, ბახულიაც სადღაც კვლებში ჩაიკარგებოდა და გულმოდგინედ მუსრს ავლებდა სარეველას.

ამიტომაც იყო, რომ მასზე ნაწყენობას გულში დიდხანს არავინ ინახავდა.

თანაც ბიჭი ჯერ პატარა იყო, და ჰკუას აბა ვინ მოჰკითხავდა.

სწორედ იმ ხანებში ბახულიას დედა ძეორედ გათხოვდა; მამინაცვალს ნაპოს ეძახდნენ სახელად (საბუთებში ნაპოლეონი ეწერა), სიფრიფანა ცხვირი და უფერული, წვრილი, უაზრო თვალები ჰქონდა. ნაპოლეონი ერთი უქნარა ვინმე იყო, დღედაღამ გიტარა ეჭირა ხელში და ინგლისურ ჰანგებს უკრავდა, ტელევიზორით რომ მოესმინა; გიტარა რომ მოსწყინდებოდა, აიღებდა სანადირო თოფს და ტყეში მიეხეტებოდა.

აქაური არ იყო ნაპო, მეზობელი რაიონიდან ჩამოვიდა ოჩხომეში, მაგრამ სოფელს რა დაემალება, ჩამოვიდა და ცუდი სახელიც ჩამოჰყვა. მუდამ სხვისი სუფრის შემყურე, მაგრამ განთქმული მოცეკვავე იყო. ის რომ ფეხის წვერებზე შემდგარი წამოვიდოდა იატაკზე, აღტაცებული მაყურებლები სულგანაბულნი შესცქეროდნენ. ნაპოს ოცნება შორეული ქალაქები იყო, სადაც საგასტროლოდ უნდა წაჰყოლოდა ცნობილ ანსამბლებს, მაგრამ ვაი ამ წუთისოფელს — ხანი აღარ მოსდევდა; მაინც იმედს არ ჰკარგავდა და მანამდე, ვიდრე მისი ეს ოცნება ფრთებს შეისხავდა, ნაპო ბრაკონიერობას ეწეოდა და აღტაცების გამომხატველი რეცენზიების ნაცვლად ინსპექტორების მიერ შედგენილი ოქმების კითხვა უხდებოდა: რამდენჯერ დააჯარიმა მილიციამ, მაგრამ მის გამოსწორებას არაფერი ეშველა.

ბახულიას სასწაულებრივ ტალანტს, დღემდე რომ ყურადღებას არავინ აქცევდა, ნაპოლეონმა ღრმად ჩახედა და გულში გაივლო — ეს ბიჭი ნადირობაში გამომადგებაო. ვითომ რატომაც არა — ბახო მწევარზე მარდი იყო, უფრო უკეთესად და ხალისიანად ყეფდა და თანაც — პირუტყვს რას შეასმენ და, ბიჭი კი ძალიან ჭკვიანი და მიხვედრილი იყო: ამიტომ ნაპომ სულ მალე გამოსცადა კიდეც, ნადირობამ ჩინებულად ჩაიარა, და ამის შემდეგ ბრაკონიერს ძაღლის ნაცვლად ბახულია დაჰყავდა ტყეებსა და მინდვრებში, ბიჭს ძეძვნარში ძრომისაგან მუხლები სულ დაკაწრული ჰქონდა.

ბახულია პირველად ხალისიანად ასრულებდა ძაღლის როლს, თითქოს მოსწონდა კიდეც, ყველაფერი ეს თამაშსა ჰგავდა, დასტაცებდა პირს მოკლულ კაკაბს და მოარბენინებდა მსროლელისაკენ. ხეპრე მამინაცვალმა ბიჭს ერთგულება როდი დაუფასა, თითქოს მართლაც ძაღლი ყოფილიყოს, ისე ექცეოდა. ერთხელ დედამ ჭადი და ყველი გაატანა მონადირეებს ტყეში... სამხარზე, ტყეში რომ ჩამო-



ხხდნენ, ნაპომ გადანაჭერ ხეზე საუზმე გააწყო, მერე ჭადს პატარა კიდე მოსტეხა და ბახულიას გადაუგდო, შორი-ახლოს რომ ტრიალებდა. თან მიაძახა:

— ჰა, იაკვი, ჩქიმი ყუჯი ფათო იაკვი, სიხოე ჭკომი! (აჰა, ლეკვო, ჩემო ყურფართო ლეკვო, შენცა ჭამე!).

ბახულიამ ჰაერშივე დაიჭირა ჭადის ნატეხი, დაუმიზნა და სახეში სთხლიშა მამინაცვალს, თან მიაყოლა:

— ლეკვიც შენა ხარ და ძაღლიც, შე უსინდისო, შენა!

ნაპო სახტად დარჩა, გაოცებისაგან ისე დაუწვრილდა ქინძისთავივით წვრილი თვალები, თითქოს მართლა ლეკვს ამოედგას ენა. მერე გონს მოეგო და თოფს დასტაცა ხელი...

ბახულიამ დრო იხელთა, ბუჩქებში გაძვრა და ხშირ ტყეში ჩაიკარგა. ნაპომ მაინც, ალალ-ბედზე, ჰაერში გაისროლა თოფი.

იმ ღამეს ბიჭი შინ აღარ დაბრუნებულა, რამდენი არ ეძებეს, კვალი ვერსად იპოვეს. დედა ტირილისაგან აღარ იყო.

* * *

მას მერე კარგა ხანმა გაიარა. ზაფხულში, სტუდენტურ არდადეგებზე ოჩხომეში ჩავედი.

ბახულიას უფროსი ძმა, გოჩა ჩემი ახლო მეგობარი იყო და, რა თქმა უნდა, მაშინვე მოვინახულე.

გოჩას შვებულება ჰქონდა... დილით მზის ამოსვლამდე ვდგებოდით და საღამომდე ტყე-ღრე დავწურიალობდით.

იმ დღესაც გოჩამ დილაადრიან ამომიარა. სიმინდის ყანაზე გამავალ ბილიკს დავადექით, ღობეში დატანებული პატარა ჭიშკარი გავიარეთ და ტყისკენ წავედით.

ოქაჯეში მყუდროებას რუს მოუსვენარი ლიკლიკი არღვევდა მხოლოდ. ჩვენც იქ ჩამოვსხედით. მზეც ამოიწვერა. სხივმა აქა-იქ შემოაღწია ტყეში და ცვრიან ფოთოლ-ბალახს მოთეთრო-მონაცრისფრო ნისლი აადინა.



უცებ გამეცინა, გოჩამ გაკვირვებით შემომხედა. ბახულია როგორ არის-მეთქი, ვკითხე.

გაიღიმა, მისი გაქცევის ღამე გაიხსენა.

— გავწყდით წელში იმ ღამეს, სად არ ვეძებეთ. არ დაგვიტოვებია ერთი ბუჩქიც კი. მაგრამ როგორ ვიპოვიდით, ბახულიას ამ ტყეში, ქვემოთ, ღელის პირას დიდი მუხა რომ დგას, იმ მუხის ფუღუროში თხმელის მწვანე ტოტებისაგან ღამის გასათევი მოეწყო და იქ მოკალათებულიყო. ეჰ, მოგვანატრა თავი ბახულიამ, — თქვა გოჩამ და პაპიროსი მოქაჩა.

— ბიჭი რომ დაიკარგა, დედაჩემმა ნაპო ჭირის დღესავით შეიძულა. სულ მალე ნაპომ გუდა-ნაბადი აიკრა და თავის ადრინდელ ოჯახს დაუბრუნდა, მიტოვებული რომ ჰყოლოდა.

ბახულიასი კი კარგა ხანს ვერაფერი გავიგეთ. თურმე ფოთში წასულიყო, კითხვა-კითხვით მიეგნო მაროსათვის და ეამბნა ყოველივე. ამის შემდეგ თითქმის მთელი წელი ცხოვრობდა დასთან. აქვე გაუგრძელებია სკოლაში სიარულიც.

იმხანად მაროს ოჯახს ერთი ძველი მეგობარი სტუმრებია, ძალზე პატიოსანი და კეთილი კაცი, ჩინებული მკურნალი.

უშვილო იყო თურმე და ამას ძლიერ განიცდიდა. ერთ საღამოს, ჩაის რომ შეექცეოდნენ, სტუმარი ბახულიას გამოლაპარაკებია, ბიჭს ისე დინჯად და ჭკვიანურად უპასუხია ყოველ კითხვაზე, აღტაცებაში მოუყვანია სტუმარი. ისედაც მოსწონდა ეს ცოცხალი ბიჭი სტუმარს, ახლა კი საბოლოოდ მოუხიბლავს.

უშვილებია და თბილისში წაუყვანია.

ყველაფერი ეს მარომ შეგვატყობინა — დაამთავრა გოჩამ.

ორივენი ფიქრში წავედით. გარინდებული ტყის მყუდროებაში უცებ ოფოფმა დაიძახა და ჩვენ უნებურად გადავხედეთ ერთიმეორეს. რა დროს ოფოფია ახლა, ამ ზაფხულის ბოლოს. გოჩას თვალები გაუბრწყინდა.

— თბილისშია ის ეშმაკის ფეხი... აქ საიდან გაჩნდებოდა...

— იქნებ სხვა ვინმეა?!

— არა, ნამდვილად ის არის...

ოფოფის ძახილი ძაღლების ყეფამ შეცვალა, ერთად ყეფდა რამდენიმე ძაღლი, და სულ მალე ბუჩქებში სახეგაბრწყინებული ბახულია გამოჩნდა.

მოახლოვდა, ჯერ მე ჩამომართვა ხელი.

დავაჟკაცებულიყო... ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ოსტატობა შევუქე. შევატყე ეამა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— რამდენი ხნით ჩამოხვედი, ბახო?

— ორ კვირას ვაპირებ დარჩენას... — არ დააყოვნა პასუხი.

მინდოდა მეკითხა, რატომ ასე ცოტახნით-მეთქი, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ პირველი სექტემბერი ახლოვდებოდა.

— ორ კვირაში მეც ვაპირებ გამგზავრებას... ერთად წავიდეთ.

თავაზიანად გაიღიმა და კარგიო, თქვა.

— რომელ კლასში ხარ, ბახული?

— მეათეში, გაისად ვამთავრებ...

ჩემს წინ ზრდილი, მოკრძალებული ბიჭი იდგა, ღირსეულად ეჭირა თავი.

ისევ ვკითხე:

— სკოლის დამთავრების შემდეგ რას აპირებ?..

— მამაჩემი ათასნაირ გეგმებს აწყობს, მე არ მეკითხება... მე კი, ისე მომენატრა აქაურობა...

## არნო ონელი

# ისევ ეს მთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ეს მთები, ეს მთები ისევ,
მათზე ფიქრი და ოცნება წმინდა...
ო, ახლაც ნისლის ღერიებს ვისევ
და შორისაკენ გაფრენა მინდა.

შორა კი, ჩემი ყრმობის ხატება,
შორიდან მოჩანს მუქცისფერ ბინდად,
ვიგრძენ ტრფიალის ხმა მემატება
და იმ მწვერვალთან ვიმღერო მინდა.

სადაც არ ვნანობ გულის მიტანას,
არც ჩემს ბედ-იღბალს დავემდურები,
რომ იქიდანაც, რომ იქიდანაც
მე საქართველოს დავტკბე ყურებით.

ისევ ეს მთები, ეს მთები ისევ,
ხსოვნაში ნათლის სვეტებად დგანან,
კრძალვა, სიდინჯე, სიდარბაისლე
დასაბამიდან არ მოსდგამთ განა?

მთებია ჩვენი ერის მშვენება,
ბრძოლის და ძლევის ფარია თანაც,
ყოველ ცისმარე დღის გათენება
აქ სიმფონიად არ ისმის განა?

დიდ სიმფონიად!.. როს განახლების
ღვთიური ცეცხლი გულს ეკიდება,
რომ გვამღერებდეს, რომ გვამაღლებდეს
ჩვენი ლამაზი ქვეყნის დიდება.

# წამო, ძვირფასო...

წამო, ძვირფასო, გავიქროლოთ ბარაკონისკენ,
თვალი შევავლოთ ხიდიკარის ყომრალ ქარაფებს,
იქ წამოვწვებით მწვანეზე და თანაც მოვუსმენთ
რიონს, წარსულსა და აწმყოზე მოლაპარაკეს.
ნიავს გავყვებით და მიგვიყვანს მინდაციხემდე,
სად დუმილია ჟამგადასულ საუკუნეთა,
სადაც ოდესღაც თამარის და მზის სადიდებლად
კახაბრისა და სხვა ქართველთა ხმა გუგუნებდა.
მერე ჭუთხარო (მუდამ ვიყავ მისი მქებელი!),
ჭუთხარო — ჩემი სიჭაბუკის ოქროს პოემა...
დაე, გვხიბლავდეს ეს მწვერვალი მიუწვდენელი,
ვით პირველქმნილი სილამაზე და სათნოება.
რაა სიცოცხლე, რაა სუნთქვა ამ ცის გარეშე,
ნეტავ გაჩვენათ მზის ჩასვლისას მისი ფერები,
მივაღწევთ ბოლოს და მშობლიურ არემარეში
ო, ყველას გულში ჩავიკრავთ და მივეფერებით.

# ორი პეპელა

ორი პეპელა, თეთრი პეპელა
დაჰქრის მდელოზე წყვილად,
ციდან საამოდ მზე ეფერება,
დაბლა — ზაფხულის დილა.

ვუმზერ და მათი მშვენიერება
გულს რად ატოკებს ნეტავ?
ვიცი: ეს არის განმეორება
ყრმობის უცოდველ დღეთა.

რა ხანმოკლეა მათი ცხოვრება,
ითვლიან ძვირფას წამებს,
დღეს სააქაოს სტუმრად მოსულნი,
ხვალ საიქიოს წავლენ.

ასეა ჩვენი წუთისოფელი,
ცის ნათელს მოსდევს ბინდიც,
ამქვეყნად ცნობილ-შეუცნობელი
ყველა მოდის და მიდის.

# ახალი ლექსები

## მომასმენინა ნეტავი ახლაც...

ბსოვნაში ისევ —
ეზო და სახლი,
ისევ მომძებნა ტკივილმა ჩემმა...
— უცაცუნებდა კამეჩებს სახრეს,
მეგრელი გლეხი მღეროდა „ჩელას“,
ის ჰანგი ძაფით ეკიდა ზეცას
და რომ მეგონა —
ვაი, თუ გაწყდეს —
კვლავ გრძელდებოდა
ის მწველი კვნესა
და აცოცხლებდა გზისპირა ანწლებს.
მეურმედ ყოფნას ვნატრობდი ბავშვი,
ურემს მოჰქონდა სურნელი თივის...
ხადლაც ბარდებში გალობდა შაშვი,
იყო სალამო —
მყუდრო და თბილი.
ის დრო, ის ჟამი წასულა ფრენით,
იმ სალამოის გზასთან და ბინდთან...
და რომ დაბრუნდეს — სხვა არაფერი,
სხვა არაფერი ახლა არ მინდა.
მიახლოვდება დღეები ზამთრის
და როცა ვხედავ —
ჩემს თმებში ზამთარს...

## ნოდარ ნარსია

იმ დღეებს ვეძებ ანთებულ სანთლით,
ის ჰანგი მახსოვს ყველაზე ნათლად.
სულში ღრმადა აქვს გადგმული ფესვი,
მას, რასაც ალბათ ვერავინ შველის...
ისევ მინდვრების ძახილი მესმის
და ნატვრად იქცა სიცოცხლე ჩემი.
... ისევ მომწყურდა:
სოფელი, სახლი,
ისევ მომძებნა ნაღველმა ჩემმა...
მომასმენინა ნეტავი ახლაც,
სადმე, მეურმე თუ მღერის „ჩელას“.

## შ ვ ი ლ ს

შენ, შვილო ჩემო,
პატარა ცოტნე,
შენ, მამის სულის ჯავრო და ხვითო...
მე აგაშორებ ჩემეულ ცოდვებს,
მე დაგიტოვებ ჩემეულ სითბოს.
შვილო...
ჩემს დღეებს ოცნებად ახლდი
და შენს გაზრდასაც მომასწრებს ღმერთი...
იყავი მამის ფიქრივით ნაღდი,
უცოდველი და ასეთი თეთრი.
მე არ გისურვებ უზრუნველ დღეებს,
დე, საზრუნავიც გქონოდეს ბევრი...
წინაპარივით —
მინდა რომ შენ ერთს,
გიხმობდეს ჩემი ამაყი ერი.
შენი ცისფერი თვალების იქით
ჩვენი მინდვრების სილურჯე მოჩანს.
არ აგცდენოდეს მამულზე ფიქრი,
არ მოგსწრებოდეს კერიის მოშლა.
ათასი ჭირი გადაგხდეს თუნდაც,
შვილო, გქონოდეს სურვილი ფრენის...
იცოდე, ჭირსაც დახვედრა უნდა,
— დასტურ მყავს შენი თვალების ფერი.
დღეს კი...
შენს გზაზე მე ჩრდილებს ავკრეფ
და აგარიდებ უდროო ეკალს...
შენც ყოფილიყავ მამულის სარკე,
გიყვარდეს შენი ღვია და დეკა.
ჯერ კი თოთო ხარ და ძალზე სუსტი
და ლაპარაკი არ იცი ჯერაც...
მაგრამ იცოდე: — იმ დღეებს ვუცდი,
შენი კაცობის და შენი მჯერა.
ამ უღრუბლო და...
შენს ბავშვურ განცდას,
მეც ვუერთდები ფარული განცდით...
მოვა დრო, შენაც გიცნობენ კაცად,
და უნდა იყო — მთლად გულის კაცი.
ამ გრძნობას, შვილო,
არაფერს ვადრი,
ამ მამაშვილურ
და წმინდა გრძნობას...
ეს სხვა რაღაცის არ არის ფარდი,
— შესძლონ ჩაწვდომა ან ამოცნობა.

* * *

დე, იმქუხაროს ჩვენს ძარღვებში
ეშვმა და სისხლმა,
რწმენაა
ჩემი გამძლე გვარის შემწე, ჯავარი.
ჩვენი ფუძეა ირმის ტყავით
მორთული მიწა,
ჭერია ჩვენი მზის სამეფო —
ზეცის თავანი.
მიმოვიხილე მზის ღვთაების
სადგომი ქყონდიდს,
შელამებამდე რჩეულ ხარებს
ვკლავდი ზვარაკად,
სისხლით პოხიერ გრძნეულ ფესვებს
მივუახლოვდი
და უცებ უბრად მდგარი მუხა
ალაპარაკდა...
მძლავრი ტოტებით მოეფერა
ახალშობილ მზეს,
მე, ადამიანს მომცა, როგორც
ოქროს ნაფოტი,
მას შემდეგ ყველა ხნეულება
დამყმო, მოგვისრა
და მოგვივლინა ფრთოსნის ხმები,
სმენის დამტკბობი.

## ვანო ჩხიკვაძე

## კოლხური სურათები

დე, იმქუხაროს ჩვენს ძარღვებში
ეშვმა და სისხლმა,
რწმენაა
ჩემი გამძლე გვარის შემწე ჯავარი,
ჩვენი ფუძეა ირმის ტყავით
მორთული მიწა,
ჭერია ჩვენი მზის სამეფო —
ზეცის თავანი.

* * *

მთვარემ დატოვა საბუდარი —
მწვანე გორი და
ხეობის თავზე აბრდღვიალდა —
მთების სოსანი.
მე გადმოვდივარ სულ სხვა დროიდან
მჭრელი ეშვებით,
ჩემი კერპით და სალოცავით.
იმ დაწყევლილ დღეს ქალაქ ეას
აიეტს ვახლდი,
ოდეს მოადგა სანაპიროს
ერთი ხომალდი.
ორი ზღვის ლომი
გავგმირე ბარჯით,
ჭარმაგმა მეფემ შეკრიბა ხალხი
და სტუმრებისთვის მირთმევა ბრძანა...
მზისდარ მედეას ვეტრფოდი მაშინ
და მხარში შედგა მთელი ქვეყანა...
ვინ დააძინა
იმ სალამოს კოლხური შუბი,
მთვლემარ გველეშაპს
სიამაყე წართაცეს ჩვენი.
მაშინ პირველად
დამეღარა დარდისგან შუბლი
და მეზანზარდა
დღემდე მტკიცე სასახლის ბჭენი,
სილაში ვეგდე
და ვტიროდი წასულ დიდებას —
მზაკვრული ხელით
მოტაცებულ სატრფოს და საწმისს
და შემოდგომის
მგლოვიარე, მუქი ჩრდილებით
გადადიოდნენ
დატალღული ღრუბლები ზანტი.

# ჩვენი კულტურის ძეგლები

„თეკლას, მამისა და დედის სიხარულს... თეკლავ ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა, რომლისაგანაც შენ ხომ იცი და გონიერი ქალიცა ხარ, როგორ მეამებოდა და მაამებდა, მაგრამ უცხოს ოსტატობითა და მდივნობით იყო შენი გარჯილობა. მეტი სიღრმისაგან ვერ ამოვიკითხეთ და ვერც არა შე ვიტყვეთ. შენთვის ახლა კოცნა მომიხსენებია, ჩემ მაგივრად დედაშენმა გაკოცოს, ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ ღვთით კიდევ ბევრ შაქარყინულს და ნუღლს და შაქარს გამოგიგზავნი და თუ ღვთის ნებაც იქნება, ჩვენც წამოვალთ. .1781 წელი, 29 დეკემბერი“.

ჩვენს წინ დევს ფერგადასული, გაცრეცილი, პატარა ქაღალდზე გაკრული ხელით დაწერილი სტრიქონები მეფე ერეკლესი. ბარათი მას თავის პატარა გოგონასათვის — „თეკლა-ბიჭისათვის“ მიუწერია. წერილს ერეკლეს ექვსივე ბეჭედი აზის. ამით თუ ახარებდა თავის ასულს, თორემ ამ ბეჭდებს მეფე ხომ განსაკუთრებული დოკუმენტებისათვის ხმარობდა.

მისი წერილები გვამცნობენ, რამდენად თბილი გული ჰქონია ამ დიდ ადამიანს, ქვეყნის საქმეებით დატვირთულს, მეომარსა და მეფეს...

მრავალზე მრავალ ასეთ დოკუმენტს ინახავს ჩვენი არქივი. ძველი საბუთების განყოფილების გამგე ნინო თარხნიშვილი ოცდახუთი წელია მუშაობს ცენტრალურ საარქივო სამმართველოში და თითქმის ზეპირად იცის ყველა ამ საბუთის შინაარსი და ღირსება...

აქ არის ყველაზე უძველესი ოთხთავი, რომელიც მეცხრე-მეათე საუკუნეებს ეკუთვნის. აქვე ნახავთ და გაეცნობით ვახუშტის მატიანესა და ატლასს, ვახუშტისავე ავტოგრაფით; სწორედ ამ მასალებზე მუშაობს აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი, რომელიც გამოსაცემად ამზადებს „ქართლის ცხოვრების“ მორიგ ტომს.

— ძველი საბუთების კოლექციაში გვაქვს დოკუმენტები მეთერთმეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, — ამბობს საისტორიო სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილე დალი მანჯგალაძე, — აქ პირველ რიგში საინტერესოა თამარ მეფის სიგელი, ტყავზე დაწერილი, აქვეა როსტომ მეფის შეწირულობისა და წყალობის წიგნები, იურიდიული შინაარსის საბუთები (მე-18 საუკ.), თეიმურაზ I-ის წყალობის წიგნები, ბიჰვინთის იადგარი და სხვა მრავალი.

მე-19 საუკუნიდან შემონახულ მასალათა შორის მკვლევართათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ყოფილ საცენზურო კომიტეტის, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის, სინოდალური კანტორის ფონდებს... აქვეა უმდიდრესი კინო-ფოტო-ფონო განყოფილება, პროფესორ მიხეილ პოლიექტოვის, ისტორიკოს სიმონ ესაძის, თედო ჟორდანიას, კირიონ საძაგლიშვილისა და სხვების პირადი ფონდები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და მრავალი სხვა ასეულათასობით საბუთის, ხელნაწერის, სიგელ-გუჯრების საცავი გამხდარა საქართველოს სახელმწიფო არქივი.

1918 წელს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს საარქივო საქმის რეორგანიზაციის თაობაზე. ეს იყო დასაწყისი სოციალისტური საარქივო საქმის განვითარებისა. სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ამ საქმეს საქართველოშიც უაღრესად ფართო გაქანება მიეცა. ჩვენი ხალხი გულისხმიერად მოეკიდა და უმალ გამოეხმაურა ამ საქმეს. მოჰქონდათ ოჯახებიდან პირადი არქივები; თავის მხრივ არქივის მუშაკები მოგზაურობდნენ სოფლიდან სოფლად და ამდიდრებდნენ ჩვენი კულტურის ოქროს საგანძურს. მათ დიდძალ მასალას მოუყარეს თავი, საგულდაგულოდ გაახვიეს სინათლისა და სინესტის გაუმტარ ქაღალდებში, ყველას მიუჩინეს ბინა, და ახლა მთელი ეს განძი მომავლის ისტორიული მეცნიერების დიდი ბაზაა, ყოველი საბუთი დიდი შინაარსის მატარებელია.

სამკითხველო დარბაზებში სხედან მეცნიერ-მუშაკები, პროფესორები, მწერლები, სტუდენტები, მკვლევარები, და ეცნობიან წინაპართა საქმეებს, ზნე-ჩვეულებებს, გმირობისა და ვაჟკაცობის ეპიზოდებს, მტრისა და მოყვრის ნაბიჯებს ჩვენს მიწა-წყალზე.

დარბაზებში ხშირად შეხვდებით მოძმე რესპუბლიკებისა და მსხვილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებს, მოსკოვისა და ლენინგრადის, ალმაატისა და ოდესის, არხანგელსკისა და ხაბაროვსკის მოქალაქეებს, რომელნიც უაღრესად საინტერესო და მდიდარი მასალების გასაცნობად ჩამოსულან აქ.

არქივი ათეულ წლების მანძილზე საკუთარი სამეცნიერო ჟურნალის „საისტორიო მოამბის“, სამეცნიერო ბიულეტენების საშუალებით ახდენს დიდმნიშვნელოვან პირველადი წყაროების პუბლიკაციას.

არქივები დიდ მეთოდურ დახმარებას უწევენ სამინისტროებს, ორგანიზაციებს, წარმოებებს.

გასულ წელს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში გაიმართა არქივის მუშაკთა მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველო ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა ამ დიდი ფორუმისათვის.

სახელმწიფო ცენტრალური არქივის დირექტორებისა და საარქივო სამმართველოების უფროსების შეხვედრის დროს დიდი ყურადღება მიიპყრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსის გ. თავამაიშვილის მოხსენებამ. დამსწრეთათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოში არა მარტო საარქივო საქმე, არამედ არქივის საცავების მშენებლობის საკითხიც კარგად არის გადაჭრილი.

კონგრესმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ლენინური დეკრეტით საარქივო საქმის საერთო სახელმწიფო ღონისძიებად გამოცხადებამ განაპირობა ის მაღალი დონე, რაც მთელ საბჭოთა კავშირში საარქივო მუშაობისათვის არის დამახასიათებელი.

დოდო ზურაბიშვილი.



დაღესტნის პეიზაჟი.

ფოტო ვ. ჩხუმიანისა.

# არაჩვეული ოპერაცია

კონსტანტინე ერისთავი

## მოგონება

1914 წელი... აპრილი... ომისა ჯერ არაფერი ისმოდა.

იმ დროისათვის სამედიცინო ფაკულტეტზე მე მოსმენილი მქონდა ათი სემესტრი და ჩაბარებული თითქმის ყველა საგანი, რომლებსაც გვიკითხავდნენ. ამას ხელს უწყობდა ის, რომ დერპტის (იურიევის) უნივერსიტეტში, სადაც მე ვსწავლობდი, კურსობრივი სისტემა კი არ იყო გამოცდების ჩაბარებისა, არამედ საგნობრივი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესორი კურსის კითხვას რომ მოათავებდა, საგამოცდო სესიას კი არ უცდიდა, მაშინვე იღებდა გამოცდას, თავისი დროის და მოცალეობის მიხედვით. სწორედ იმ ხანებში, აპრილში, იურიევში პეტერბურგიდან მოვიდა მოთხოვნა ოთხ სტუდენტზე, რომელთაც ათი სემესტრი უნდა ჰქონოდათ მოსმენილი; ოთხმა კაცმა განვაცხადეთ წასვლის სურვილი და ჩვენ მაშინვე გაგვგზავნეს პეტერბურგში, წითელი ჯვრის საზოგადოების გამგეობის განკარგულებაში. იქ კი გამგეობამ 2-2 სტუდენტი ჩაგვრიცხა თითო რაზმში, რომლებსაც ეს საზოგადოება ჩრდილოეთ სპარსეთში გზავნიდა. მაშინ იწყებოდა ჩრდილოეთ სპარსეთის ეკონომიური და კულტურული შესწავლა-ათვისება და იმ ორი რაზმის ამოცანაც ეს იყო. ერთი მიდიოდა ასტრაბადში, მეორე — გუმბეთში.

ორივე რაზმი ჯერ ბაქოში ჩავიდა, იქ ჩაგვსვეს სპეციალურ გემში და გადაგვიყვანეს კასპიის ზღვის მეორე მხარეს, სპარსეთის ტერიტორიაზე. იქ იყო ლიანოზოვის თევზის საწარმო და ჩვენც სწორედ ამ კუთხეში მოვხვდით; თუმცა გაზაფხული იყო, მაგრამ ცუდი ამინდი შეგვხვდა, სპარსეთისაკენ გზაც ცუდი იყო, ამიტომ კარგი დარის მოლოდინში დაახლოებით ორ კვირას გემზე მოგვიხდა ყოფნა; რაზმები უზრუნველყოფილი იყვნენ ყოველმხრივ — სურსათიც საკმაო იყო და ხელფასიც კარგი გვქონდა.

ორი კვირის შემდეგ გამოიდარა, გაიხსნა გზები და ჩვენც დავიძარით ადგილიდან. როგორც უკვე ვთქვით, ერთი რაზმი ასტრაბადში წავიდა (ექიმ სერგეევსკის მეთაურობით), მეორე კი გაემგზავრა ასტრაბადის იქით, გუმბეთში (ცაშის მეთაურობით). ჩვენ მოვეწყვეთ ასტრაბადის საკონსულოში, რომლის უფროსი იყო კონსტანტინე ივანოვი... დავიწყეთ მუშაობა.

ორიოდე სიტყვა იქაურ ვითარებაზე: მთელ ჩრდილოეთ სპარსეთს განაგებდა ერთი ხანი — სალად უდ დოულე. ივანოვს იმ მხარეში მშვენიერი მამული ჰქონდა. ამბობდნენ, რომ ეს მამული იმით შეიძინა, რომ სპარსეთის ხანს მოსახლეობიდან ხარკის ასაკრეფად ქირით კაზაკთა რაზმებს აძლევდათ. ივანოვის მამულს, რომელიც განცალკევებული იყო, ბუგულმა ეწოდებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ჩრდილოეთ სპარსეთში, განსაკუთრებით ჩვენს მისვლამდე, მიწა იყიდებოდა ყველა მსურველზე და ამ ნასყიდობას ამტკიცებდნენ, ერთი მხრით, კონსული და, მეორე მხრით, სპარსელი მოხელე. ჩემსობას მიწის გაყიდვა შეწყვეტილი იყო, მაგრამ ივანოვმა მითხრა:

— რაკილა შენ ქართველი ხარ და ახლოს ხარ ჩრდილოეთ სპარსეთთან, რამდენიმე ათას ჰექტარს საუკეთესო მიწას მოგყიდით და დაგიმტკიცებთ როგორც მე, ისე სპარსელი მოხელეო.

— რად მინდა ეს მიწა-მეთქი, უარი ვუთხარი.

ჩვენ იქ ვმუშაობდით სექტემბრის შუა რიცხვებამდე. 14 სექტემბერს მოვიდა დეპეშა, რომ დაიწყო ომი გერმანიასთან. სერგეევსკიმ მითხრა:

— ჩვენი რაზმი აქ დარჩება, სპარსეთში, ვინაიდან ფიქრობენ, რომ აქ ჩამოვა ჩვენი ჯარი... ამიტომ ჩვენთან მყოფი სტუდენტები, როგორც მაგალითად შენ, რომელთაც მოსმენილი აქვთ ყველა საგანი, მაგრამ სახელმწიფო გამოცდა არა აქვთ ჩაბარებული — დიპლომებს უგამოცდოდ მიიღებენო.

ჩვენს საუბარს შეესწრო ჩემივე ამხანაგი სტუდენტი. მან რაღაც ცუდი ლაპარაკი დაიწყო, მომიბრუნდა და მითხრა:

— შენ ახლა გიხარია, ომი რომ დაიწყო...

მეწყინა, მაგრამ არაფერი ვუთხარი. სამაგიეროდ სერგეევსკი გაუწყრა:

— რას სულელობ, ომი რა სასიხარულო რამ ნახე! ან ამას რად უნდა გახარებოდაო.

სტუდენტმა უპასუხა: — ვიცი, ეგენი მოღალატეები არიან. ჩვენ კარგს რას ვუშვრებით ტუზემცებს და მაგათგან რას უნდა მოველოდეთ.

ახლა კი ველარ მოვითმინე და საკმაოდ მკვახე პასუხი გავეცი. არც სერგეევსკის მოეწონა მისი ლაპარაკი და მკაცრად უთხრა: — სისულელეებს ბოდავო!

მე სერგეევსკის მოვუბრუნდი და ვუთხარი:

— უნდა გამიშვათ აქედან.

— რად მიდიხარ. ექიმის წოდებას მოგცემენ უგამოცდოდ.

— მივდივარ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მე ნაჩუქარი დიპლომი არ მინდა და მეორე, მე ქირურგი ვარ და როგორ შეიძლება ომში ჯარისკაცის გვერდით არ ვიყო-მეთქი.

სერგეევსკიმ მიპასუხა: — მე შენი გაშვების უფლება არა მაქვს, მაგრამ რაკი დაჟინებით მოითხოვ, მოგცემ მივლინებას წითელ ჯვარში...

მერე იმ სტუდენტს მიუბრუნდა და უთხრა:

— აი, უყურე... შენ ამას მოღალატეს ეძახოდი. ახლა ეგ ომში მიდის, შენ კი ჩემს კალთებს ქვეშ აფარებ თავს.

ავიღე მივლინება და წავედი წითელ ჯვარში, მაგრამ იქ ჩასვლამდე სამხედრო ნაწილში გამოვცხადდი. უდოკუმენტოდ სიარულისა მეშინოდა, რადგან გაწვევის ასაკისა ვიყავი, ასეთებს იჭერდნენ და რიგით ჯარისკაცებად გზავნიდნენ.

მივედი სამხედრო ნაწილში, მოვახსენე, რომ უნივერსიტეტის დამთავრება მინდა, დიპლომი უნდა მივიღო და ათი დღის ვადა მომეცით-მეთქი. უფროსმა მითხრა:

— შენ გეტყობა კარგი ახალგაზრდა ხარ, შეასრულებ სიტყვას. იცოდე, გამოცდას რომ ჩააბარებ, ჩემთან უნდა მოხვიდე, რათა ფრონტზე გაგგზავნო, თორემ შენი გამოცხადება [illegible] და რომ დამეკარგო, დიდი უსიამოვნება შემხვდება.

ჩავედი იურიევში. ხუთ დღეში ჩავაბარე ის გამოცდები, რაც მაკლდა. ავიღე დროებითი მოწმობა, ჩავედი პეტერბურგში და მხოლოდ მაშინ გამოვცხადდი წითელ ჯვარში. გამგეობას ძალიან არ მოეწონა ჩემი იქიდან წამოსვლა, მაგრამ რაღას იზამდნენ. გზა დამილოცეს. დავბრუნდი სამხედრო ნაწილში, უფროსი ძალიან კარგად შემხვდა და მითხრა — შენ შენი სიტყვის კაცი ყოფილხარ. — მე გაგგზავნი შენ ოთხმოცდამეოთხე დივიზიაში, რომელიც ახლა ყალიბდება ვიბორგში და შენ, მთელ ფულს, რაც გერგება, ორმაგად მიიღებ, რადგანაც დივიზია იმპერიის საზღვრებს გარეთ დგასო. ეს იყო სექტემბრის ბოლო რიცხვები. დეკემბრის დასაწყისში ჩვენი დივიზია ფინეთიდან დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს და ჩვენ, მინსკის გავლით, მომქმედ არმიაში წავედით.

ომის წლებში, გასაგებია, მეტად დაძაბული მუშაობა გვქონდა. მე მშვენიერ ლაზარეთში მოვხვდი. აუარებელი დაჭრილი მოჰყავდათ და გარდა, პრაქტიკული მუშაობისა, აქ, მიუხედავად დიდი გადატვირთვისა, იყო მცირეოდენი შესაძლებლობა მეცნიერული დაკვირვებებისათვის. ომის წლებში მე ორი სამეცნიერო ნაშრომი დავწერე და გამოვაქვეყნე.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისში ფრონტიდან საქართველოში ჩამოვედი. აქ ძალაუფლების სადავეები მენშევიკების ხელში იყო. იმ ხანებში მე უკვე ბოლშევიკი ვიყავი. მუშაობა დავიწყე რკინიგზის საავადმყოფოში, ორდინატორის თანამდებობაზე. ჩემი ოჯახი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა, დავსახლდით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე.

ერთხელ ჩემს ბინაზე, იქნებოდა ასე ღამის პირველი საათი, მოვიდა ჩემი ორი ამხანაგი, ინჟინრები. ერთი ბაღდათელი იყო, მისი გვარი არ მახსოვს, მეორე კი — გრიშა გეგეჭკორი. მითხრეს, ავადმყოფთან უნდა წაგიყვანოთო. მე, საერთოდ, ავადმყოფისათვის უარი არასოდეს მითქვამს. მაშინვე ჩავიცვი და გავყევი. ქუჩაში რომ გამოვედით, ძლიერ გამიკვირდა: გვიცდიდა მშვენიერი ახალთახალი მანქანა ,,მერსედესი‘‘. მაშინ ასეთი მანქანები თბილისში იშვიათი იყო.

— რაშია საქმე, ხომ არავინ გაძარცვეთ, ვისია ეს მანქანა-მეთქი, — ვკითხე ჩემს უდროო სტუმრებს.

— ჩაჯექი და ყველაფერს გაიგებ!

ჩავსხედით მანქანაში, შოფერმა ავლაბრისაკენ აიღო გეზი და კახეთის მოედანზე გაჩერდა. აქ კი მითხრეს გადმოდიო, გადმოვედი, დავუყევით ვიწრო ქუჩას, მარცხენა მხარეს, დაღმართში. ირგვლივ ბნელოდა, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო.

— თუ ჩემი გაძარცვა გინდათ, — ხუმრობით ვუთხარი ჩემს თანამგზავრებს, — ჯიბეში სამი მანეთი მაქვს და ბარემ ახლავე ჩემი ნებით მოგცემთ. მითხარით, სად მიგყავართ-მეთქი.

— წამოდი და შენ თვითონ გაიგებ! — მიპასუხა გრიშა გეგეჭკორმა. ჩავათავეთ დაღმართი და შევედით ვიღაცის სახლში. იქ დაგვხვდა ერთი ქალი, შვიდი წლის პატარა ბიჭი, ხოლო კუთხეში საწოლზე იწვა ვაჟა, არაჩვეულებრივი სილამაზის კაცი. გადაიხადა საბანი და მაჩვენა ამპუტირებული ფეხი. ჭრილობა სრულიად მორჩენილი იყო, მაგრამ პროტეზის ჩაცმა არ შეიძლებოდა ძვლის წამონაზრდის გამო.

— პროტეზის ჩაცმა მინდა, მაგრამ ვერ მომიხერხებია, — შემომჩივლა დაჭრილმა.

— რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებ, — ვუპასუხე, — რეამპუტაციაა საჭირო.

— გამიკეთე...

— კი ბატონო, დაწექით ხვალ რკინიგზის საავადმყოფოში და გაგიკეთებ.

მან გაკვირვებით ჯერ მე შემომხედა და შემდეგ ჩემს თანამგზავრებს.

# მეგობრის ხსოვნას

აი, ეს არის ის საწერი მაგიდა, რომელზედაც ედიშერი მუშაობდა ათი წლის მანძილზე...

ჩვენს რედაქციაში დგას ეს მაგიდა. რა გულგრილნი ვართ ხშირად ამა თუ იმ საგნის, ნივთის მიმართ, რაოდენ სულერთია იგი ჩვენთვის, მაგრამ უცებ ეს ნივთი თითქოს სულიერ არსებად გადაიქცევა, ისეთ ფასს დაიდებს შენს გულში... იქცევა ძვირფასად, უძვირფასესად.

აი, ეს არის ედიშერის მაგიდა...

ოცდაშვიდი წლისაც არ იქნებოდა, როცა ედიშერი „დროშის“ რედაქციაში მოვიდა — თმაქოჩორა, კუნთმაგარი, ბრინჯაოსფერი ვაჟკაცი, მოვიდა და იმ დღიდან მოყოლებული მთელი ათი წლის მანძილზე ამ დაზგაზე მუშაობდა, წერდა შესანიშნავ მხატვრულ ნარკვევებს, რეპორტაჟებს, ნოველებს, რომლებშიც პირველად გაბრწყინდა მისი ნიჭი, ჟურნალისტისა და ბელეტრისტის მახვილი თვალი, მაღალი გემოვნება, ერუდიცია.

აი აქ, ამ მაგიდასთან იჯდა და შრომობდა ედიშერ ყიფიანი, შრომობდა ფუტკარივით, ფუტკარივით დაუზარელი. აქ აიდგა მან ფეხი, როგორც მწერალმა.

ღონიერი, მუხლმაგარი გავიდა „დროშის“ კედლებიდან და დაადგა გზას ფართოს, განიერს, კიბეს მაღალს, მაღალ საფეხურზე ასასვლელად, დიდი მწერვალის დასაპყრობად.

„დროშის“ რედაქციიდან წასვლის მერეც აქაურობის ხშირი სტუმარი იყო, უყვარდა დაზგა, რომელზედაც თავისი ჯაფით, ოფლით დიდ წარმატებას მიაღწია, სარგებლობა მოუტანა თავის ხალხს, თავის ქვეყანას.

იმ საბედისწერო საათამდე ორი დღით ადრე, თითქოს იცოდა, რომ უკანასკნელი იყო მისი მოსვლა ამ შენობაში, ყველგან შეიხედა — „ნიანგში“, „ზარია ვოსტოკაში“, „დროშაში“.

— რას იცინი?

— ვიცი, რაც უნდა მისაყვედურო...

— მო და, არ გეხუმრები! ათი წელია ვინახავ შენს უჯრას ხელუხლებლივ, შენს წიგნებს, სურათები მაინც წაიღე!

— სურათები?!

— მო, სურათები, შენი სურათები. მერე როგორი ლამაზი ხარ, არ გინდა უჩვენო შვილებს როგორი იყავი ახალგაზრდობისას? რას იცინი?

— მე ახლაც ლამაზი ვარ და ახალგაზრდა. რა წიგნებია? აღარ მახსოვს.

— აბა რა ვიცი? ვიცი, წიგნებია, ასე ქაღალდში დამხვდა გახვეული, კანაფით შეკრული, არ გამიხსნია. მაგიდა დამიძველდა, ახალი უნდა დავიდგა. ხომ იცი რა პატარაა ახალი მაგიდები? ჩემსასაც ვერ დავატევ შიგნით. ასე რომ, წაიღე, თორემ იცოდე ფოსტით გამოგიგზავნი.

— არ იზამ მაგას. ხუმრობის გარეშე, შინ ერთი თარო მაქვს გასაცხრილი, ამ დღეებში გავასუფთავებ და წავიღებ, მაშინვე წავიღებ...

— იცინე, იცინე და ნახე, თუ არ გამოგიგზავნო!

ასე გავიდა რედაქციიდან ედიშერი, აქ დარჩა მისი ღიმილი, მაგიდა, წიგნები, სურათები.

ორი დღის შემდეგ წავიდა წუთისოფლიდან ედიშერ ყიფიანი, წავიდა ჩვენგან, დასტოვა ღიმილი და კეთილი სული ამქვეყნად. წაიღო დედის, დის, ცირას, შვილების, მეგობრების სიყვარული, გულისტკივილი და ცრემლი... რამდენი ცრემლი...

„რას იცინი? არ გეხუმრები, წაიღე შენი წიგნები, თორემ იცოდე ფოსტით გამოგიგზავნი“...

ისევ დავცქერი მის საწერ მაგიდას. რა გულგრილნი ვართ ხშირად საგნების მიმართ, რაოდენ სულერთია ისინი ჩვენთვის, მაგრამ უეცრად ეს ნივთი, საგანი ისეთ ფასს დაიდებს შენს გულში... იქცევა სულიერად, უძვირფასესად.

**გულნარა ბახტაძე.**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი „დროშის“ რედაქციაში. 1954 წ. (დგას მარჯვნიდან პირველი).

— კაცო, თქვენ არ უთხარით ამას ვინცა ვარ?

— არაო, — გადაუქნიეს მათ თავი.

— მე საშა გეგეჭკორი ვარ... დამაწვენ შენს საავადმყოფოში?

— ვერ დაგაწვენ, მაშინვე დაგიჭერენ-მეთქი, — ვუთხარი.

— ხოდა, აბა, გამიკეთე სახლში.

შევთანხმდით, რომ მეორე ღამეს მივიდოდი და გავუკეთებდი რეამპუტაციას. დილით ადრე გავსწიე საავადმყოფოსაკენ, მყავდა ძალიან კარგი საოპერაციო და, გვარად კუშნიროვა, მას ვთხოვე მოემზადებინა ყველაფერი საოპერაციოდ. როდესაც მკითხა როდის უნდა წავიდეთ და სადაო, ვუთხარი, როცა საჭირო იქნება, გაგაფრთხილებ-მეთქი. თანაც ხელებში ვუცქერი, ვიმახსოვრებ სად ინახავს მასალას და ინსტრუმენტებს. მუშაობის დამთავრების შემდეგ შინ წავედი. ღამით ისევ მომადგნენ ის ინჟინრები, გავიარეთ რკინიგზის საავადმყოფოში, წამოვიღეთ შენახული მასალა და ღამის ორ საათზე, სრულიად დაუხმარებლად, სანიტარიც კი არ მყავდა, გავაკეთე რეამპუტაცია, რასაკვირველია, დიდი წვალებით. ამის შემდეგ ყოველ ღამეს მოდიოდა ჩემთან ეს ორი კაცი და მივყავდი ავადმყოფთან ფეხის შესახვევად.

საშა გეგეჭკორი ცნობილი იყო თავისი პურმარილით. მუდამ მიცდიდა, მივიდოდი და ერთად ვსადილობდით. ერთ მისვლაზე მასთან ორი უცნობი კაცი დამხვდა. ფეხი რომ შევუხვიე, მითხრა — ძალიან კარგი ღვინო მაქვს და ერთად ვისადილოთო. დამალევინეს მართლაც არაჩვეულებრივი ტკბილი ღვინო. თურმე ეს იყო ხვანჭკარა, რომელიც მე ჯერ არ დამელია. პურმარილობა რომ გათავდა, საშამ მკითხა — ხვალ თორმეტიდან სამ საათამდე სად იქნებიო. მე ვუპასუხე — ან კლინიკაში, ან სახლში.

— ბატონო კოწია, გაფრთხილებ, ძალიან სერიოზული საქმე მაქვს და ზუსტად უნდა ვიცოდე სად იქნები, ეგებ სასწრაფოდ დაგვჭირდეო. მე გავუმეორე ადრე ნათქვამი.

მეორე დღეს, დაახლოებით დღის პირველი საათი იქნებოდა, რომ ვერის დაღმართის დასაწყისთან გავარდა ბომბი და ცოტა ხნის შემდეგ თქვეს, გენერალი ბარათოვი დასჭრესო. ორი მსროლელიდან ერთი გაიქცა ყორღანოვის ქუჩით, ხოლო მეორე, გადაღმა რომ იდგა, გადაჭრა ქუჩა და დაეშვა ხიდისაკენ. მას ჩეჩენი პოლიციელი შეხვდა, დაუძახა გაჩერდიო. გაქცეული არ გაჩერდა, ჩეჩენმა ესროლა და მოკლა.

მეორე დღეს ისევ წამიყვანეს საშა გეგეჭკორთან, მე დავიწყე ამ ამბის მოყოლა. საშამ გამაჩერა და მითხრა — მე რომ გეკითხებოდი სად იქნები თორმეტიდან სამამდე, სწორედ მაგ საქმეზე მჭირდებოდი, თუ დაიჭრებოდნენ ის მსროლელები, შენ უნდა დაგვხმარებოდი. გახსოვს, შენგან მარჯვნივ რომ კაცი იჯდა, ის იყო ელბაქიძე, გუშინ რომ მოკლეს. სწორედ იმან ჩამოიტანა ის ტკბილი ხვანჭკარა, შენ რომ სვი, მეორე იმისი ამხანაგი იყო. ბარათოვი დენიკინის გენერალი იყო, ჩამოსული ჩრდილო კავკასიიდან იმ მიზნით, რომ ეთხოვა ჟორდანიასათვის ნება მიეცა მოხალისეთა შეკრებისა ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მას თორმეტიდან სამამდე აუდიენცია ჰქონდა ჟორდანიასთან. ბარათოვი ფეხში დაიჭრა და მიხეილის საავადმყოფოში გაუკეთეს ამპუტაცია.

ვერის დაღმართს ამ ელბაქიძის პატივსაცემად ეწოდა მისი დღევანდელი სახელი.

ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა თუ იმ ბინას, სადაც საშა გეგეჭკორი იმალებოდა, მემორიულ დაფას გავუკეთებდით.

საშას ფეხი მალე მოურჩა და უკანასკნელად მე ის უკვე პროტეზჩაცმული ვნახე.

საშას მოყოლილი ერთი ამბავი მინდა გადმოგცეთ. ერთხელ, მარიამობა დღეს სურამში ვიყავით, — მიამბო მან, — სუფრასთან რამდენიმე კაცი ვისხედით. ჩვენს შორის იყო ერთი ახოვანი პრაპორშჩიკი, გვარად ამილახვარი. ყველა დავათვრე და ამ ამილახვარს ვერაფერი მოვუხერხე. შევატყვე, რომ მერევა და დავიწყე ქინძული და შარიანობა. ის არ ამყვა, ითმინა, ითმინა და ბოლოს მითხრა: — ყმაწვილო, დამანებე თავი. მე რომ შენ მოგკლა, ვლადიმერის ჯვარს ჩამომკიდებენ და შენ რომ მომკლა, დაგხვრეტენო. რაზე ქინძულობ, დაჯექი და ვიქეიფოთო. მაშინ მივხვდი, რომ იცოდა ვინც ვიყავი. ეს რომ გავიგე, ვთხოვე — ნება მომეცი გულზე გეამბორო-მეთქი. მოდიო და თვითონაც გადამკოცნა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვმკურნალობდი გეგეჭკორს, ეს მშვენივრად აქვს აღწერილი ხერგო საყვარელიძეს ჩემზე დაწერილ წიგნაკში. ს. საყვარელიძემ მე ადრევე მთხოვა ამეწერა მისთვის ყველაფერი. მე ვუთხარი — გეგეჭკორი ცოცხალია და იმას მიმართე-მეთქი. ის მართლაც ასე მოიქცა და საშამ დაწვრილებით უამბო მთელი ეს ამბავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ვახტანგ მანჯავიძე

ძველი ოდა-სახლი სოფელ სათივეში.

ენგურჰესის მშენებლობაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ მანჯავიძე



სასტუმრო ვენეციაში.



რომის ხიდი.



ხიდი ფლორენციაში.

ძველი რომის ნანგრევები.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# ხალხური შემოქმედების ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენაზე

ფოტო ბ. დადვაძისა.





შოთა ჩოჩიშვილი

ფოტო თ. არჩვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძიუ-დო და კისრული

შოთა ჩოჩიშვილს ახლა მთელი ქვეყანა იცნობს. ბევრი რამ ითქვა მასზე, ბევრიც დაიწერა. დღეს უკვე ყველამ იცის, რომ მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი ძიუ-დოში გორის რაიონის სოფელ ღვლევის მკვიდრია, რომ ძიუ-დოში ვარჯიში დაიწყო სამი წლის წინ, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობას იგი ევგენი სოლოდუხინის აპენდიციტს უნდა უმადლოდეს და რომ შოთა ისე გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი, რომ არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის გამოცდილება არ ჰქონია.

ყოველივე ეს ვუთხარი შოთას მწვრთნელს გურამ პაპიტაშვილს და ვთხოვე რაიმე უფრო საინტერესო ამბავი მოეთხრო ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის!

— მოდით ჯერ აპენდიციტის ამბავი გავარკვიოთ. ყველაფერი ისე არ იყო, როგორც თქვენ ამბობთ. ევგენიმ ოპერაცია იაპონიაში გაიკეთა, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ძიუ-დოში სავარჯიშოდ იმყოფებოდა. ეს იყო 1972 წლის მაისის დასაწყისში. ოპერაცია იმდენად ოსტატურად იყო შესრულებული, რომ ევგენიმ იქვე იაპონიაში, ოცი დღის შემდეგ დაიწყო ვარჯიში.

ამის შემდეგ ნაკრებმა გუნდმა ფოდოლსიაში დაიწყო წინასაოლიმპიადო საწვრთნელი ვარჯიშები. ამ ვარჯიშებზე სოლოდუხინმა თავისი საუკეთესო ფორმა აღიდგინა და ყველა მწვრთნელის აზრით იგი ქვემძიმე წონით კატეგორიაში პირველი კანდიდატი გახდა ოლიმპიადაზე გასამგზავრებლად.

გავიდა კიდევ ერთი თვე და ჩვენი ქვეყნის ყველა საუკეთესო მოჭიდავე ძიუ-დოში კიევში შეიკრიბა, რათა საბოლოოდ დადგენილიყო ვინ იყო მათში ყველაზე ძლიერი. ამ შეკრებას, გარდა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ანდრეევისა, ესწრებოდა ხუთი მწვრთნელი-სელექციონერი, მათ შორის მეც. თითოეულ წონით კატეგორიაში რაოდენობა ორსამ მოჭიდავემდე შემცირდა. ქვემძიმეში, როგორც მოსალოდნელი იყო, დარჩნენ შოთა და ევგენი. სოლოდუხინმა ათივე სპარინგ პარტნიორთან სუფთა გამარჯვებას მიაღწია. მას არც შოთა ჩამორჩა, ათივე ათლეტზე მანაც სუფთა გამარჯვება იზეიმა. საკითხი თუ ვინ უნდა წასულიყო მიუნხენში, თითქოს გადაუჭრელი რჩებოდა. მაშინ ვ. ანდრეევმა ავტორიტეტულად განაცხადა, რომ მიუნხენში შოთა ჩოჩიშვილი გაემგზავრება.

მართლაც, ჩვენ ხელთ გვქონდა სია იმ ძიუ-დოისტებისა ამ წონით კატეგორიაში, რომლებიც მიუნხენის ოლიმპიურ ტატამზე უნდა გამოსულიყვნენ მსოფლიოს ყველა დაწინაურებული ქვეყნიდან. სოლოდუხინს თითქმის არც ერთ მათგანთან მოგება არ ჰქონდა, ხოლო შოთას კი რამდენიმე მათგანი დამარცხებული ჰყავდა. გარდა ამისა, შეკრებებმა ცხადი გახადეს, რომ შოთას გამარჯვებები უფრო სწრაფი და ხარისხიანი იყო, ვიდრე სოლოდუხინისა. აი ყოველივე ამან განაპირობა შოთას მიუნხენში გამგზავრება, და არა სოლოდუხინის „აპენდიციტმა“.

დავუბრუნდეთ კიდევ ერთ საკითხს. ჰქონდა თუ არა შოთას საერთაშორისო შეჯიბრებაში მიღებული გამოცდილება? რა თქმა უნდა, ჰქონდა. სხვაგვარად წარმოუდგენელია ძიუ-დოში რაიმეს მიღწევა. ძიუ-დო, ისევე როგორც ქართული ჭიდაობა, ხელოვნებაა და განა ხელოვნებაში შეიძლება შემთხვევით მიაღწიო წარმატებას? რა თქმა უნდა, ტალანტი შეიძლება დაიბადოს, მაგრამ მან უთუოდ უნდა განვლოს მომწიფების, დავაჟკაცების პერიოდი, შემდეგ საერთაშორისო შეხვედრების ქარცეცხლი და მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ დიდი მოჭიდავის დაბადებაზე.

შოთა ქართულმა ჭიდაობამ გამოაწრთო. იგი ბავშვობიდან ჭიდაობს და განა გასაკვირველია, რომ ძიუ-დოში იგი ცარიელი ხელით არ მოსულა. ძიუ-დო და ქართული ჭიდაობა ხომ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

1969 წლიდან შოთა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტია და ძიუ-დოში ამ დროიდან იწყება მისი ნამდვილი ვარჯიში. პირველი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, ეს ყველასათვის ცნობილი 1970 წლის თბილისის საერთაშორისო შეჯიბრება იყო. აქ ის პირველ ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდათა შორის; 1971 წელს შოთა უკვე ჩვენი ქვეყნის ნაკრებშია. 1972 წლის დასაწყისში პირველი ადგილი დაიჭირა გდანსკში (პოლონეთი) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამარჯვება ფინალში იაპონელ ნაკამურასთან. ასეთ ეფექტურ გამარჯვებას შოთასაგან არავინ მოელოდა. ნაკამურა მაღალტექნიკური მოჭიდავეა და ახალბედებთან იგი მარჯვენა მხარის გარე გადაკრულ სარმას ხმარობს, ხოლო შოთას არსენალში აქვს ამ ილეთის თითქმის დამაგვირგვინებელი კონტრილეთი — მარცხნივ გულზე შემოტრიალებით გდება. მართლაც ასე მოხდა. ნაკამურას წამოწყებული ილეთი ისეთი ლამაზი გდებით დაამთავრა შოთამ, რომ თვითონ იაპონელმა მსაჯმა აღტაცებით შესძახა — „იპონ“, რაც სუფთა გამარჯვებას ნიშნავს.

ამას გარდა, შოთამ მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში, სადაც ბევრჯერ გამოვიდა საპრიზო ადგილებზე.

ამით იმის თქმა მინდა, რომ შოთა სრულებითაც არ მოხვდა „პირდაპირ გემიდან მეჯლისზე“, როგორც ამას ზოგიერთები წერენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შოთაზე ნარკვევებს ასეთი სათაურებიც კი წაუმძღვარეს — „გამოეღვიძა უკვე სახელგანთქმულს“...

— აბა, შოთა თქვენ რას იტყვით, რას დაუმატებთ?

— რა ვიცი, იქნებ თვით მიუნხენის შეჯიბრებიდან...

— ძალიან საინტერესო იქნება.

— კენჭის ყრამ არ გამიმართლა. პირველი შეხვედრა უნდა მქონოდა კორეელ მოჭიდავესთან; ეს უკანასკნელი კი ნომერ მეორე ფავორიტად ჰყავდათ მიჩნეული ჟურნალისტებს, პირველი — იაპონელი სასახარა იყო. ჩვენს შორის გამარჯვებული მეორე წრეში ხვდებოდა სწორედ სასახარას. კენჭის ყრის შედეგები რომ გამოცხადდა, ჩვენებმა ხელი ჩაიქნიეს; და მართლაც, საკმარისი იყო კორეელთან დავმარცხებულიყავ, რომ საერთოდ გამოვეთიშებოდი შეჯიბრებას. და აი რატომ: მეორე წრეში პირველად გამარჯვებული იწყებს შეჯიბრებას. მაგალითად: მე რომ წამეგო კორეელთან, მეორე წრეში კორეელი შეხვდებოდა სასახარას, ხოლო თუ სასახარა მოუგებდა კორეელს (ეს ასეც მოხდებოდა), მე ავტომატურად ვტოვებდი სარბიელს. მოხდა სულ სხვაგვარად. კორეელი ავად გახდა და მე მეორე წრეში პირდაპირ სასახარას შევხვდი. როგორც უკვე იცით, სასახარა უკანასკნელ წამებზე კისრულით დავანარცხე ტატამზე და სუფთა გამარჯვება მოვიპოვე.

შემდეგ წრეში ვხვდებოდი ბრიტანელ სტარბრუკს. ახლა უკვე სასახარას ბედი ჩემზე იყო დამოკიდებული. თუ მოვიგებდი, ისიც განაგრძობდა შეჯიბრებას. წავაგებდი, და, სასახარა გამოეთიშებოდა შეჯიბრებას, ხოლო ჩემი ბედი კი სტარბრუკზე იქნებოდა დამოკიდებული. მე წავაგე სტარბრუკთან და სასახარა გამოეთიშა შეჯიბრებას, ხოლო რადგან არც სტარბრუკს და არც მე აღარ წაგვიგია, ფინალშიც ჩვენ გავედით. ეს უკანასკნელი შეხვედრა კი ქულებით მოვუგე სტარბრუკს.

ძალიან განაწყენდნენ იაპონელები. ყველა ერთხმად ამტკიცებდა, და დღესაც ასე სჯერათ, რომ თითქოს სტარბრუკთან მე განგებ წავაგე პირველი შეხვედრა, რათა სასახარა გამომეთიშა შეჯიბრებიდან. რა თქმა უნდა, ეს მართალი არ არის. ჩვენი ხელმძღვანელები ჩემგან მეექვსე ადგილს ძლივს მოელოდნენ და იმას უფლებას ვინ მომცემდა, რომ სათუოდ გამეხადნა ეს მოკრძალებული შედეგიც. ისე კი, საქმე მართლაც ჩაწყობილივით გამოვიდა. მე არც ვწუხდი, პირიქით მიხაროდა კიდეც, რომ ამოდენა ხალხი ჩემზე და სასახარაზე ლაპარაკობდა. მე რა მენაღვლებოდა — პირადი შეხვედრა უკვე მოგებული მქონდა მრისხანე სასახარასთან და ოლიმპიური ოქროს მედალი გულზე მეკიდა.

— ქართულ ჭიდაობას თავს ხომ არ ანებებთ?

— რას ბრძანებთ, პირიქით, ამას წინათ საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონიც კი გავხდი. ქართული ჭიდაობა ჩემთვის ყველაფერია. იგი საფუძველია ჩემი ყველა გამარჯვებისა. ვინც ქართული ჭიდაობის ყველა საიდუმლოება იცის, ის ძიუ-დოშიც ვაგლახად არასდროს გაილახება. განა მიუნხენშიც ასე არ მოხდა? ოცდახუთი წამი იყო დარჩენილი ბოლომდე და ჭიდაობის ბედი გადაუწყვეტელი იყო. ამ დროს დარბაზიდან მესმის გურამ პაპიტაშვილის შეძახილი: „კისრულით გადმოიტანე, შოთა“. მეც ასე მოვიქეცი და სასახარა დაეცა ხალიჩაზე.

— ვთქვათ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს ქართული ჭიდაობაც, როგორ მოიქცეოდით?

— აუცილებლად დავთმობდი ძიუ-დოს და გამოვიდოდი ქართულ ჭიდაობაში. ჯერ იმიტომ, რომ ჩვენია, ქართული. მერე კიდევ, არ მიყვარს წაქცეულ კაცთან ჭიდაობის გაგრძელება, თუმცა ძიუ-დოში ამის გაკეთება ხშირად მიხდება ხოლმე.

— გისურვებთ თქვენ და თქვენს მწვრთნელს კიდევ მრავალი გამარჯვება გეზეიმოთ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

**თარხან არჩვაძე,**
გორი—თბილისი.

შოთა ჩოჩიშვილი და გურამ პაპიტაშვილი.



# შავი ყავა და თეთრი ღამეები

... აჰა, სათაურიც თვითონვე მოვიდა. და რაკი მოვიდა, კეთილი და პატიოსანი. ხელი არა ჰკრა, არ გააგდო. შენ გრძნობ, რომ დაწერ მართალ რეპორტაჟს ამ მატჩზე. იმიტომ, რომ ასე გაქვს დაცდილი: ხომ გახსოვს, მაშინ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ტალს რომ მძიმე ოპერაცია გაუკეთეს თბილისის ერთ-ერთ უროლოგიურ კლინიკაში. მაშინ შენ და გივი გამრეკელი ერთად მიხვედით მასთან პალატაში და მაშინდელ რეპორტაჟს არც შენთვის და არც ტალისთვის გული არ დაუწყვეტია. ახლაც შენ და გივი იმყოფებით მსოფლიო პირველობის მეტად მძიმე „ოპერაციაზე" და უკვე წინასწარ იცი — ახლაც არაფერს იტყვი ჭადრაკზე. დაე, მოჭადრაკეებმა წერონ მასზე. შენი უბის წიგნაკი კი გადაშლილია და კითხულობ: „...ძალიან გემრიელი ლუდი სცოდნიათ რიგაში..." და რაკი მართლა ასეა, ხმამაღლა უძახი ბარმენს და ითხოვ ლუდს ყელის გასასველებლად.

უბის წიგნაკში კი ჩანიშნულია:

1. ნონა საშინლად ნაწყენია ფლორზე: როცა კუშნირი იგებს, „სოვეტსკი სპორტში" წერს, ბრწყინვალედ თამაშობსო. ჩემზე კი ჯერ კრინტიც არ დაუძრავს... „64"-ს საერთოდ არ ვკითხულობ მას შემდეგ, რაც წინასამატჩო სტატიაში ალას ერთ-ერთი საუკეთესო პარტია დაბეჭდეს, ჩემი კი — საშუალო. აბა ეს წესია?

2. დღეს რიგაში მცირე შესვენების შემდეგ კვლავ ჩამოვიდა ფლორი და ერთი ათჯერ მაინც დაურეკა გივის, წამო, ყავა დავლიოთო. საოცრად დაბალი კაცია ფლორი. ისე კი, დიდოსტატია და...

3. ნონას მეგობარმა ლეილა ნაჭყებიამ დღეს უცნობი ქალის, ვინმე ახობაძის წერილი მიიღო. ამა და ამ ზომის, ასეთი და ასეთი ტყავის ძირის ჩანთა შემიძინეთ, მე მჯერა თქვენი გემოვნებისა, ამიტომაც გენდობით და დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კმაყოფილი დავრჩებიო.

ბევრი ვიცინეთ. ნონამ კი გაგვაჩუმა, ნუ იცინით, ძალიან ნორმალური წერილიაო, და შემდეგ ასეთი რამ გვიამბო:

ამ რამდენიმე წლის წინათ იგი, თავის მეგობარ მადონასთან ერთად, რესტორან „როსსიაში" ერთი ახალგაზრდა, მეტად უბრალოდ ჩაცმული რუსი ლინგვისტის მაგიდასთან მოხვედრილა. როცა გაიგო, რომ ქართველები იყვნენ, იმ ლინგვისტს ქართული ენის შესწავლის სურვილი გამოუთქვამს — იქნებ, როგორმე, სახელმძღვანელო მაშოვნინოთო. ნონასაც, რასაკვირველია, გამოურთმევია მისამართი და აღუთქვამს, რომ თბილისში ჩასვლისთანავე გამოუგზავნიდა.

ლინგვისტმა არ იცოდა ვინ პირდებოდა ამას.

თბილისში ჩასულ ნონას სასწრაფოდ შეუძენია საჭირო ლიტერატურა და ზუსტი მისამართით გაუგზავნია ხელმოუწერლად.

— კი მაგრამ, რა დაგიშავა, მოგეწერა სახელი და გვარი, — უსაყვედურეს ნონას.

— მაშინ არა-და, ახლა კი მართლა უნდა გავუგზავნო... რუსს ქართულის სწავლა სწყუროდა და ხელიდან გავუშვებდი!

4. ნონამ ხელიდან გაუშვა მოგება მე-12 პარტიაში და წააგო. ჯერ აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მაინც წააგო. მე ხალხით გაჭედილ დარბაზში ვიჯექი. ამბობენ, ამდენი მაყურებელი ჭადრაკს აქ მანამდე არ ჰყოლიაო. მიშა ზარგარიანი გულმოდგინედ მუშაობს. ზედიზედ იღებს საინტერესო ფსიქოლოგიურ მომენტებს, მაგრამ კუშნირი ხომ კრძალავს ფოტოგადაღებას მაშინ, როცა ფიქრობს!.. საოცრად „არაფოტოგენური" ფიქრი ჰქონია. და ძია მიშაც პოულობს გამოსავალს: გვერდით მჯდომს სთხოვს ხმამაღლა ჩახველებას, და ფოტოაპარატისა და ხველის სინქრონი ფანტავს მსაჯთა კოლეგიის სიმკაცრეს. ძია მიშა — გამომგონებელია.

წუთით ფოიეში გავდივარ და ნაცნობ მოჭადრაკეებს ვესაუბრები. შემდეგ უკანვე ვბრუნდები და ვკითხულობ, თუ რამდენ ხანში „მოგუდავს" ნონა მეტოქეს. მეუბნებიან, ცოტაც მოითმინეთ და ჩაიბარეთ თქვენი ნონაო... ეგ როგორ-მეთქი?.. როგორა და ასეო.

ერთი შეცდომაც კი დამღუპველი ყოფილა.

5. რამდენი ქართველი გოგო-ბიჭი მოსულა აქ. ალბათ, პრაქტიკაზე არიან... აგერ ერთი თვალებდაპრაწული ქალიშვილი შემოვიდა დარბაზში და... ჯერ სკამი გააჭრაჭუნა სამარისებურ სიჩუმეში, მერე უეცრად ფეხი წამკრა რაღაცას და ბოლოს, თავის სკამს მძიმედ რომ დაენარცხა, ნერვების მომშლელადაც ჩაიხითხითა...

ბოლოს და ბოლოს, თვითონ ჩვენვე ხომ არ ვაფუჭებთ ხოლმე სიტუაციებს?

6. საოცარია, მაგრამ ათი ტელემუშაკი მაინც იღებს სრულმეტრაჟიან ფილმს ამ მატჩზე ისე, რომ დარბაზს გარეთ ჯერ ერთი კადრიც არ გადაუღიათ. არადა, მატჩი მარტო ჭადრაკის დაფასთან როდი მიმდინარეობს.

რატომ არ გვცემენ გაზეთის მუშაკებს ამის ნახევარ პატივს, რომ ერთი „სრულმეტრაჟიანი" ნარკვევი დავწეროთ ჩვენს გემოზე?

7. ნონამ დედოფალი უკან დასწია.

კუშნირმა სათვალე გაიწმინდა ცისფერი ცხვირსახოცით. დაძაბულობისაგან სახე წამოუწითლდა. მერე უეცრად თავი ჩაქინდრა, აქეთ გამოიხედა უჩუმრად. თითქოს, ცრემლიც მოიწმინდაო. მაგრამ ეს ცრემლი არ უნდა ყოფილიყო... ნონაც საშინლად ნერვიულობს... ქუჩიდან ბავშვის გამაღიზიანებელი ტირილის ხმა შემოდის.

8. რა ბედი მაქვს ყველაფერში. ერთ პარტიას დავესწარი და ისიც არ წააგო!

დღეს პარტია გაუგრძელებლად დამთავრდა. კუშნირი იმტკიცებს პოზიციებს კონტრშემოტევისათვის. გუშინ უთქვამს, ნონას თექვსმეტი ივნისის ზეიმი უნდა ჩავუშალოო. მაგრამ ეს ზეიმი ხომ მარტო ნონას საპატივსაცემოდ არ ეწყობა!

---

# ჩვენი პროფესორი

მოგონება

გამხდარი, საშუალოზე ცოტა მაღალი, არც თეთრი, არც შავგვრემანი, უფრო კი თეთრი, თვალები ძალიან მოძრავი, მკვირცხლი და დაუდეგარი. სიარული ჩქარი და გამართული. ნერვიული მოძრაობა. ლაპარაკში ძალიან მტკიცე და დამაჯერებელი. ასევე მტკიცე თავის გადაწყვეტილებაში. უზარმაზარი ცოდნა. შეიძლება მასზე ითქვას, ის, რაც კანტზე რადიშჩევმა თქვა: მისი ცოდნა მთელ თაობებს ეყოფოდაო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვიკითხავდა რუსული ლიტერატურის ისტორიას. რაოდენ წარმტაცი [illegible] იყო მისი ლექც[illegible], ეს ლექცია კი არა, ხელოვნება, პოეზია იყო. ლექტორის ყოველ ფრაზაში იგრძნობოდა აზროვნების ლოგიკა, საგნის ღრმა ცოდნა და სიყვარული. ამიტომ ხშირად ვტოვებდით სხვის ლექციებს და მისკენ გავრბოდით. რამდენი დავა და უსიამოვნება მომხდარა ამის გამო უნივერსიტეტში. დაცარიელდებოდა ხოლმე აუდიტორიები, თუ გაიგებდნენ დანელიას ლექციააო. ხანდახან ის ლექციის პროცესში გადაუხვევდა თემას და ჩამოაგდებდა სიტყვას ბერძნულ ფილოსოფიაზე. მაშინ უნდა გენახათ, როგორ უბრწყინავდა მას თვალები... ანტიკურ ლიტერატურასა და ფილოსოფიას ხომ უძველეს დროიდან დაეწაფნენ ჩვენი წინაპრები, ისინი თარგმნიდნენ ბერძნულ წიგნებს, კომენტარს უკეთებდნენ პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომებს, მაგრამ ჩვენს დროში, თბილისის უნივერსიტეტის არსებობის პირველსავე წლებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლას სამი ქართველი სწავლულის ნაშრომებმა მისცა უაღრესად ფართო გასაქანი — აქ უნდა დავასახელოთ გრ. წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორია" (1927 წ.), სერგი დანელიას „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ" (1926 წ.) და სიმონ ყაუხჩიშვილის წიგნები. მათ დიდად წაადგა წინ ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლა არა მხოლოდ ქართული მასშტაბებით, არამედ საერთოდ. მაგრამ ეს ჩვენი წერილის თემა არ არის.

ახლა მისი ლექციები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან! ლექცია ევგენი ონეგინზე ისე ღრმად ჩაიბეჭდა მეხსიერებაში, თითქოს გუშინ მომესმინოს... პუშკინის შემდეგ მას განსაკუთრებით გრიბოედოვი უყვარდა და მისი პიესის ფილოსოფიურ დედააზრს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა. როცა ის არჩევდა პიესას „ვაი ჭკუისაგან", ჩვენს თვალწინ ცოცხლად დგებოდნენ ჩაცკიც, ფამუსოვიც, მოლჩალინიც...

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მე მას უფრო დაუახლოვდი და მეგობარი გავხდი; ჩვენ ხშირი მიმოსვლა გვქონდა ერთმანეთთან. ძალიან ხშირად მოდიოდა ჩემთან, ვაკეთებდით, ლომს და ერთად ვსადილობდით. თან ვსაუბრობდით მრავალ საინტერესო საკითხზე. ეს

9. ღამის თერთმეტი საათია.

ტელეფონის ზარი.

— ალო, ვასიკო ხარ?

— მე ვარ, ვინ კითხულობს?

— ჭემალი ვარ... ხომ არ გძინავთ?

— არა... არა, ეს წუთია, რაც შემოვედით, — მთელი დღის ნერვიულობისაგან დაქანცულებს ძილის მეტი რა დაგვრჩენოდა.

— ნონა როგორ ხასიათზეა?

— აბა როგორ იქნება. დახოცილებივითა ვართ.

2.

ერთი რამ მომეწონა მოჭადრაკეთა სამყაროში: იმდენად აღმერთებენ თავიანთ საქმეს, რომ შესანიშნავი დევიზიც კი შემოიღეს ყველას გასაგონად — ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ! ე. ი. თითოეულის წუხილი საერთოში იზრდება და საერთო მიღწევა კი თითოეულს საკუთარ გამარჯვებად მიაჩნია. ყველანი ერთად არიან დარაზმულნი ამ ინტელექტუალური თამაშის ირგვლივ. მილიონობით კაცი თამაშობს ჭადრაკს დედამიწის ზურგზე და მხოლოდ რამდენიმეს ხვდა წილად ბედნიერება ფლობდეს მსოფლიო ჩემპიონის საამაყო სახელს. დანარჩენებსაც სულითა და გულით სწადდათ, ალბათ, მისი მოპოვება, მაგრამ ბედთან ერთად, შესაძლოა, ნიჭმაც უმტყუნათ. ალა კუშნირი უდავოდ დიდებული მოჭადრაკეა, მაგრამ რა მისი ბრალია, თუ განგებამ ნონასთან პაექრობა არგუნა სამუდამოდ გულდასაწყვეტად და ნერვების მოსაშლელად.

იყო ძალიან ძლიერი და იყო ყოველთვის მეორე — ვერაფერი სანუგეშოა. თუმცა, რა უნდა იღონო...

* * *

ტაქსის გაჩერებაზე ჯერ ბოლო ხარ. მერე — მეხუთე... მესამე... პირველი!

ერთი მოსახვევი, მეორე...

— ერევნიდან ხომ არა ხართ? — კითხულობს ცნობისმოყვარე შოფერი.

— არა, გენაცვალე!

— საჭადრაკო მატჩზე ჩამოხვიდოდით.

— დიახ, ამოიცანით.

— მეც ჭადრაკის დიდი გულშემატკივარი ვარ. მაგრამ აი ის... რა ჰქვია... ნონა გაფრინდაშვილი... თურმე ძაან ზორბად თამაშობს... ახალგაზრდა ჩემპიონი... ალბათ, ძალიან მდიდარი იქნება, არა?

— ჰო... ძალიან. თუ ასე გაინტერესებთ, შეგვიძლია გაგაცნოთ.

— ჰე-ჰე-ჰე!.. — ჩაიცინა შოფერმა, — მაგის ბედი ვინ მომცა. სად მე და სად ის.

— აბა, თუ მიხვდებით, რომელია ჩვენ სამში?

თვალებდაჭყეტილმა შოფერმა უმალ მოიხედა და ნაცნობი ღიმილი რომ დაინახა, ყურებამდე გაწითლდა.

-- მოურიდებელი კითხვებისათვის მაპატიეთ, თუ შეიძლება.

ნონამ მიამბო, თუ როგორ უცვნიათ იგი თბილისის ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში გამყიდველ ქალებს და როგორ აქაქანებულან: — ხალხო! ერთი ამას დამიხედეთ, სახლში ფული ტომრებით უწყვია და ჩვენ კი აქ როგორ გვევაჭრებაო. იმათ რა იცოდნენ, რომ ნონასნაირებს ტომრით ფული არასოდეს ჰქონიათ და არც ექნებათ. და 8.000 წლის წინათ რომ ეთქვა ვინმეს, ფული არა მაქვს, მაგრამ გული და სიყვარული რამდენიც გნებავთო, არავის გააცინებდა. გულით მსურს დავრჩე მატჩის დამთავრებამდე, მაგრამ ჩემი მივლინება უკვე ამ სამ დღეში ამოიწურა და არც არავინ ეცდება მის გაგრძელებას. და მეც იმ იმედით მივფრინავ თბილისში, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

რიგაში ჩვენთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მერე რა მოხდა, რომ ნონა უეცრად ავად გახდა და მთელი კვირაა საჭმლისათვის ხეირიანად ხელი არ მიუკარებია. ყველაფერი ჩაივლის. მის მეგობარ გოგონას ისევ ნონასებური თმის ვარცხნილობა ექნება და ალა კუშნირი ისევ შარვალში გამოწყობილი მიუჯდება მაგიდას მოპირდაპირე მხარეს; ისევ ივლიან კვირადღეობით უძველეს ტაძარში ბახის ზღაპრული საორღანო მუსიკის მოსასმენად ჩვენი ნონა და ძმანი მისნი, ისევ მოიტანენ კაფე „12 სკამში“ მაგარ შავ ყავას და ივლიან შუასაუკუნეობრივ ქუჩებში სიყვარულით უშრეტი წყვილები თეთრი ღამეების გასატეხად.

— რიგა — რასძანე (მიხვეულ-მოხვეული მდინარე)... ასე ხსნიან ქალაქის სახელწოდებას, თუმცა, ნონას ჩემპიონური გზა მეოთხე გვირგვინისაკენ, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, მაინც არ უნდა ჩაითვალოს მიხვეულ-მოხვეულად.

ჟურნალისტს არ უნდა ეტყობოდეს, რომ ფულის გულისთვის აკეთებს ყველაფერსო, მითხრა ერთხელ ჭადრაკის დედოფალმა კომერციული მიზნებით ტყვიამფრქვევივით ამუშავებულ ცნობილ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტზე. სიყვარულზე არ შეიძლება ყულაბიდან ან საფულედან ლაპარაკი, რადგან ხმა ძალზე ყრუ, მოგუდული და ყალბი გამოვა. მე მინდოდა რამდენიმე გულწრფელ შტრიხში დამეხატა მატჩის ის ერთი, დაძაბული პერიოდი, მაგრამ აგერ, სხვა დროს ალბათ არაფრისმთქმელი კიდევ ერთი უბრალო ჩანაწერიც აღმოვაჩინე:

„ნონა გაფრინდაშვილი. — ემ, მე ვიკითხო, თორემ თქვენ რა გიჭირთ... ნახევარ საათში გადამწყვეტი პარტია იწყება“.

ვ. მჭედლიშვილი.

---

საუბრები ჩემთვის მეორე უნივერსიტეტი იყო, თუ მეტი არა.

ერთ დღეს ჩემთან ბინაზე, რუსთაველის პროსპექტზე სუფრა გავაწყეთ. მოულოდნელად შალვა დადიანმა შემოაღო კარი. ძალიან გაგვეხარდა. როდესაც შალვამ ჩვენს სუფრას გადახედა, ჩუმად მანიშნა ახლოს მოდიო, ჯიბიდან ბლომად ფული ამოიღო და მითხრა: ცხელ ლომთან ძალიან კარგია გოჭის ხორცი, ღვინოც იმდენი გამოაყოლე, შემოსწრებულებსაც ეყოთ, ვინ იცის, იქნებ ვინმე წამოგვადგეს თავზეო. მალე, მართლაც მშვენიერი სუფრა გავშალეთ. დიდი მსმელი არასოდეს ვყოფილვარ, არც სერგი დანელია იყო გულბათ ჭავჭავაძე. სუფრას ხელმძღვანელობდა შალვა, სვამდა და ჩვენც გვასმევდა. ჩვენ მალე მოგვერია ღვინო, შალვას კი სრულიად არაფერი ეტყობოდა. მალე მან სიმღერა დაიწყო: „გევშვათ ღვინო ხარათია, ართიანს ქუდვახვამათია“ („დავლიოთ ღვინო დოქით, დავლოცოთ ერთიმეორე“). სერგიც აჰყვა სიმღერაში და იმ დღეს პირველად გავიგე, რომ ის არა მარტო კარგად მღეროდა, შესანიშნავი მოცეკვავეც იყო. ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზეც და ჩონგურზეც. ჩვენს სუფრას მალე შემოემატა ცნობილი თეატრმცოდნე ალექსანდრე ბურთიკაშვილი; ის არც სვამდა, არც მღეროდა და არც ცეკვავდა; შალვამ ამის გამო ხუმრობა დაუწყო: „ბურთიკაანთ ბიჭო, განა შეიძლება ძველი მსახიობი ასეთი დაყუდებული ბერივით იქცეოდეს, მოდი ზეინაბის მონოლოგი მაინც წაიკითხე, თორემ დაგაჯარიმებო“. თურმე, ერთხელ, რომელიღაც დასის მოგზაურობის დროს მსახიობი ქალი არა ჰყავდათ და ზეინაბის როლი „ღალატში“ ბურთიკაშვილისათვის მიეცათ. ბურთიკაშვილმა უარი თქვა, დანელიასი ერიდებოდა და ზეინაბი არ გაუთამაშია, არც ღვინო დაულევია. იჯდა მაგიდასთან წყნარად და ისმენდა დადიანისა და დანელიას შესანიშნავ სიტყვებს.

სერგი დანელია მუსიკის იშვიათი მცოდნე და მოყვარული იყო, არასოდეს დააკლდებოდა კლასიკური მუსიკის კონცერტებს, უყვარდა ბეთჰოვენი, მოცარტი, შოპენი და ლისტი. — მე შემიძლია შიმშილს დიდხანს გავუძლო, მაგრამ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ მუსიკა თუ არ მოვისმინე, ვერ გავძლებო! — უთქვამს ხშირად. მახსოვს მისი მეორე ფრაზაც: მუსიკაში ბეთჰოვენი იგივეა, რაც პოეზიაში შექსპირი და რუსთაველი. ერთხელ სახლში გამომიარა და მითხრა, კონსერვატორიაში ბეთჰოვენის კონცერტია და წამოდიო. უნდა გენახათ როგორ დაძაბული და სმენადქცეული უსმენდა კონცერტს. იმ წუთებში მისთვის რაიმე რომ გეკითხათ, ალბათ ვერაფერს გიპასუხებდათ. თითქოს დარბაზში აღარ იყო.

მოგვიანებით, როდესაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა, გადავწყვიტე დაზოგილი თანხების ხარჯზე გამომეცა არისტოტელეს „პოეტიკა“, დენი დიდროს „პარადოქსი აქტიორზე“, იპოლიტე ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“ და კოკლენის „მსახიობის ოსტატობა“. სხვათა შორის, წინადადება არისტოტელეს ტრაქტატის გამოცემაზე თვითონ სერგიმ წამოჭრა. მე ვთხოვე მას თვითონ ეთარგმნა ძველი ბერძნული ლიტერატურის ეს შესანიშნავი ძეგლი. სერგი დანელია გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. დავდევით ხელშეკრულება და მივეცი გაძლიერებული ჰონორარი. მე მის ბინაზე ხშირად შევსწრებივარ, თუ როგორ თარგმნიდა ის „პოეტიკას“; გარდა ბერძნული დედნისა, მაგიდაზე ეწყო ფრანგული, გერმანული, ინგლისური და რუსული თარგმანები. ტრაბახი არასოდეს უყვარდა, მაგრამ ერთხელ თქვა: მე მგონია, ჩემი თარგმანი უშეცდომო იქნებაო. და ეს ასეც იყო. დანელიას თარგმანი დღემდე სანიმუშოდ ითვლება.

იგი მუდამ პრინციპული იყო, გაუტეხელი, მკაცრად მომთხოვნი როგორც თავის თავის, ისე სხვების მიმართ.

მან შესანიშნავი მემკვიდრეობა დატოვა. მისმა წიგნებმა დიდად შეუწყეს ხელი ახალი ქართული აზროვნების წინსვლის საქმეს.

ალექსანდრე სიხუა.

# პოლონური რეპორტაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იყვნენ პოლონელი მწერლები — გრაჟინა და ანჯეი მილოშები. მათ დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მოინახულეს მცხეთის სვეტიცხოველი, იყვნენ ჩვენს მუზეუმებსა და თეატრებში. მაინც, ყველაზე მეტად მათ ერთი საკითხი აინტერესებდათ — ცხოვრობენ თუ არა საქართველოში პოლონეთის 1881—1868 წლების აჯანყებებში მონაწილეობისათვის გადმოსახლებულთა შთამომავალნი.**

**მათ მიერ დაწყებული ძიება უნაყოფო არ გამოდგა. მის შედეგებზე რეპორტაჟი გამოაქვეყნეს პოლონურ ჟურნალ „პერსპექტივას“ ფურცლებზე ამგვარად. პოლონელმა მკითხველებმა შეიტყვეს შორს კავკასიაში მცხოვრებ თავიანთი თანამემამულეების შესახებ.**

**ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისთვისაც. ვაქვეყნებთ პოლონური რეპორტაჟის ქართულ თარგმანს.**

**რედ.**

მე-19 საუკუნეში კავკასიაში ყველგან შეხვდებოდით პოლონელებს. ესენი იყვნენ ვარშავის ჯერ 1831 წლის და შემდეგ 1863 წლის აჯანყებათა მონაწილენი, საქართველოში გადასახლებულნი, მათ შორის მრავლად იყვნენ ოფიცრები და ჯარისკაცები, რომელთაც დეკაბრისტების ბედი გაიზიარეს. შემდეგ, როცა კავკასიაში გადაიშალა ფულის მოგების უდიდესი შესაძლებლობანი, აქეთ დაიძრა პოლონეთის ინტელიგენცია: ჩინოვნიკების, ინჟინრების, ექიმების, მხატვრებისა და მეცნიერ-მუშაკების მთელი არმია.

პოლონელთა ამ ტალღის შემდეგ აქ დარჩა მემუარებისა და ლიტერატურული ჩანაწერების ათობით ტომი და ასობით სამეცნიერო შრომა, რომელიც ხელს უწყობდა კავკასიის ქვეყნებში კარტოგრაფიის, გეოლოგიისა და ბოტანიკის განვითარებას.

ნეტავ თუ კიდევ შეიძლება შეხვდეს კაცი მათ შთამომავალთ, რომლებიც შემდეგში პოლონეთში აღარ დაბრუნებულან, რადგან შეესისხლხორცნენ ახალ სამშობლოს; და თუ შეიძლება, მაშინ რას აკეთებენ ისინი, როგორ ცხოვრობენ, რით სუნთქავენ და თუ კიდევ ახსოვთ თავიანთი პოლონური წარმოშობა? — ეს კითხვები გვქონდა უბის წიგნაკში ჩაწერილი, როცა ჩვენი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

### პროფესორ ნიკოლაიშვილის საიდუმლოებანი

პოლონეთის გულითადი მეგობარი, შესანიშნავი მოსაუბრე, თბილისის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი, რომელიც ახლა ამთავრებს შრომას „პოლონელები საქართველოში მე-19 საუკუნის აჯანყებათა შემდეგ“, სეტყვასავით გვაყრის გვარებს, თარიღებს, ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ეს ნაკლებად გვაინტერესებს და ჩვენს თანამოსაუბრეს ვეკითხებით, თუ სმენია რაიმე პოლონელების იმ შთამომავალთა შესახებ, რომლებიც ახლა ცოცხლები არიან, პირადად თუ შეხვედრია ასეთებს და რის თქმა შეუძლია მათზე.

ნიკოლაიშვილი საუბარს იწყებს ნელა, თითქოს ლექციას კითხულობსო. შემდეგ უფრო გაიტაცა ეტყობა მისთვისაც საინტერესო თემამ და თხრობის ტემპს უმატა.

— მე ძალიან ბევრი გვარები ვიცი — ბედნარსკი, ხორომანსკი, კრინიცკი, კალინოვსკი, ლევინდოვსკი, პონიატოვსკი, სენკევიჩი, ზავადკა და ბევრი სხვა. პოლონურ გვარს ატარებს მრავალი ცნობილი მეცნიერი, ექიმი, ინჟინერი და მსახიობი. მიაჩნიათ თუ არა მათ თავი პოლონელებად? — კიდეც ჰო და კიდეც არა, რადგან მათმა უმრავლესობამ უკვე აღარ იცის პოლონური ენა, მაგრამ იციან თავიანთი წარმოშობის შესახებ და ძალიანაც აინტერესებთ მამა-პაპათა სამშობლო. ვისლისპირეთიდან გადმოხვეწილთა შვილიშვილები და შვილიშვილთა შვილები უმეტესწილად ქართველებზე ქორწინდებოდნენ, მათ შეიყვარეს ახალი სამშობლო და დიდი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ასე, მაგალითად, 1831 წლის მეამბოხის შვილიშვილი გრიგოლ ვოლსკი იყო ცნობილი ქართველი პოეტი; 1876 წლის პეტერბურგის გახმაურებული პროცესის შემდეგ საქართველოში გადმოსახლებულმა გიორგი ზდანევიჩმა სახელი გაითქვა როგორც ქართველმა მწერალმა და პუბლიცისტმა, ხოლო ჩვენი თანამედროვე, ახლახან გარდაცვლილი კირილ ზდანევიჩი დიდი მხატვარია.

— გსმენიათ თქვენ რამე, — განაგრძობს პროფესორი ნიკოლაიშვილი, — ნიკოლოზ სოკოლოვსკიზე, 1831 წლის აჯანყების მონაწილის შვილიშვილზე? იგი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ათი წლით ადრე მუშებს შორის რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. დაპატიმრებული და დევნილი, იგი მაინც არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, იყო ბოლშევიკი, აქტიურად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. შემდეგ იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ეჭირა მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა.

### გენერლის შთამომავალი

სოხუმში შევიტყვეთ, რომ 1831 წლების გენერლის შთამომავალი, რომელსაც ჩვენ ვეძებდით, ცხოვრობს სოხუმიდან 50 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ ოჩემჩირეში. შევუკვეთეთ სატელეფონო საუბარი, მაგრამ გამოირკვა, რომ ბორის მლოკოსევიჩი დროებით წასული იყო. ვთხოვეთ, გადაეცათ მისთვის დაგვკავშირებოდა.

მეორე დღეს დილით ტელეფონის ზარმა გაგვაღვიძა. ბორის მლოკოსევიჩი გველაპარაკებოდა. როცა გაიგო რაშიც იყო საქმე, მღელვარებისაგან ხმა აუკანკალდა, ერთხანს დუმილის შემდეგ გულითადად მიგვიპატიჟა.

— მართლა არ შეგიძლიათ წამოსვლა? მაშ ახლავე ვჯდები მანქანაში და მოვდივარ!

ორიოდე საათის შემდეგ ჩვენთან ოთახში შემოდის მაღალი, მოსული მამაკაცი, საფეთქლებზე თმა შეჭაღარავებული აქვს. დიდხანს გულითადად გვართმევს ხელს და თან ბოდიშს იხდის, პოლონურად რომ ვერ ლაპარაკობს.

— მამაჩემმა კარგად იცოდა პოლონური, მაგრამ ხუთი წლისა ვიყავი, როცა იგი გარდაიცვალა, დედა კი ქართველი მყავს...

არაფერია გასაკვირი, თუ ჩვენი თანამოსაუბრის მშობლიური ენა ქართული იყო, თუმცა რუსულადაც შესანიშნავად ლაპარაკობდა.

მაგიდას შემოვუსხედით. ჩვენ ჩანთიდან ნიკოლაიშვილისაგან მიღებული სურათი ამოვიღეთ. მასზე აღბეჭდილია გრძელწვერიანი მოხუცი, გენერლის შვილი და ჩვენი თანამოსაუბრის პაპა ლუდვიგ მლოკოსევიჩი.

ბორისი ჩუმად იწმენდს ცრემლს. თანამემამულეებთან მოულოდნელმა შეხვედრამ და ამ სურათმა იგი ძლიერ ააღელვა. იცის კი თავის წინაპართა ისტორია? რასაკვირველია, იცის. პაპის მამა, ფრანცისეკ მლოკოსევიჩი, 1769 წელს დაბადებული, ვარშავის სამეფოს მეოთხე ქვეითი პოლკის მაიორი იყო, იბრძოდა ავსტრიაში, ესპანეთში, თითქმის მთელს ევროპაში. 1831 წელს უკვე ხანში შესული მაიორი ყურადღებას არ აქცევს მტანჯველ ჭრილობებს, მიდის არმიაში და მალე ბრიგადის გენერლის წოდებას იღებს. მისი შვილი ლუდვიგი ლაგოდეხში დასახლდა და სამეცნიერო მუშაობა დაიწყო. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ბოტანიკისა და ზოოლოგიის განვითარების საქმეს, გამოაქვეყნა მრავალი ძვირფასი სამეცნიერო გამოკვლევა. მოწინავე ქართველებთან ერთად მან პირველმა დაიწყო შავი ზღვისპირა ჭაობიან რაიონებში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა და დაამუშავა ამ ბრძოლის მეთოდი.

ირკვევა, რომ ჩვენი თანამოსაუბრე პაპის კვალს გაჰყოლია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბორის მლოკოსევიჩი აფხაზეთის მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი სადგურის დირექტორის მოადგილეა, წლების მანძილზე იგი მუშაობს აფხაზეთში მცენარეთა ახალი სახეობების აკლიმატიზაციის საკითხებზე. ორმოცზე მეტი სამეცნიერო შრომა მიუძღვნა მან ამ თემას. ერთ-ერთი მათგანი მას თან ჰქონდა წამოღებული. იგი გვაწვდის ნაცრისფერყდიან წიგნაკს — „გარეული ხეხილი ლაგოდეხის ბუნებრივ ნაკრძალში“. სათაურს ქვეშ მინაწერი გვამცნობს, რომ ავტორმა იგი მიუძღვნა თავისი პაპის ლუდვიგ მლოკოსევიჩის ხსოვნას.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ჩვენს თანამოსაუბრეს ვეკითხებით სმენია თუ არა რაიმე ძველ პოლონელებზე, რომელთაც რაიმე დამსახურება მიუძღვით თავიანთი ახალი სამშობლოს წინაშე.

— მომიხდებოდა ბევრი გვარის დასახელება, — ამბობს ბორის მლოკოსევიჩი, — ამიტომ მხოლოდ ჩვენი რაიონებით შემოვიფარგლები. იცით თუ არა თქვენ, რომ სოხუმის ცნობილი ბოტანიკური ბაღი დააარსა პოლონელმა? ეს იყო ვილნიუსის მედიცინის აკადემიის სტუდენტი ვლადისლავ ბაგრანოვსკი, რომელიც კავკასიაში ჯარში გამოამწესეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა შიმონ კონარსკი.

სოხუმში ბაგრანოვსკი დაუახლოვდა პროგრესული იდეებით გამსჭვალულ რუს ოფიცრებს. მათი მხარდაჭერით იგი გაიგზავნა ბოტანიკური ბაღის მშენებლობაზე. პროექტი თვითონ შეადგინა.

ჩვენს შეკითხვაზე იცის თუ არა რაიმე 1863 წლის მეამბოხეებზე, ბორის მლოკოსევიჩს ჩუმად ეღიმება.

— 1863 წლის აჯანყების მონაწილის შვილიშვილია ჩემი მეუღლე ბარბარა კლიმოვიჩი. სხვები, რომელთაც მე პირადად ვიცნობ, არიან — ვალენტი ბეიბოვიჩი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ექიმი პაშკევიჩი, სოციალისტური შრომის გმირი ლეონიდ დობრონეცკი, მაგრამ თუ გინდათ შეხვდეთ კაცს, რომელსაც მართლაც საინტერესო ბიოგრაფია აქვს, გაემგზავრეთ გაგრაში.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# ტუჩგაჭრილი კაცი

**არჩურ კონან დოილი**

ვიდრე შერლოკ ჰოლმსი ამ საოცრად დახლართული ამბის წვრილმანებს მიყვებოდა, ჩვენ უკან მოვიტოვეთ ქალაქის განაპირა უბანში გაშენებული სახლები და თავი რომელიღაც სოფლის შარაგზაზე ამოვყავით. როცა ჰოლსმა თხრობა დაამთავრა, ჩვენ უკვე სოფლის შუაგულში ვიყავით. გზას ორივე მხრიდან ტყრუშული ღობეები ჩასდევდა და სახლების პატარა ფანჯრებიდან სინათლის შუქი ციმციმებდა.

— ჩვენ ახლა სოფელ ლის სანახებში ვართ, — მითხრა ჩემმა მეგობარმა, — ამ პატარა მოგზაურობამ ინგლისის სამი საგარაკო ადგილი შემოგვატარა. გამოვედით მიდელსექსიდან, გადავიარეთ სურეის საგრაფო და ახლა კენტში ვიმყოფებით. ხეებს შორის მოციმციმე შუქს თუ ამჩნევთ? სწორედ ეგ არის კედარი და იმ ლამპის გვერდით, რომლის შუქსაც ხედავთ, დაყურსული ზის მისტერ სენტ კლერის ცოლი და მის ყურთა დაძაბულ სმენას უკვე მისწვდა ჩვენი ცხენების ფლოქვთა თქარა-თქური.

— რატომ ბეიკერ სტრიტზე არ დაიწყეთ ამ საქმის ძიება? — დავინტერესდი მე.

— აქ, ადგილზე უნდა გადაწყდეს ბევრი რამ. მისის სენტ კლერმა თავაზიანად დამითმო ორი ოთახი და, დარწმუნებული ვარ, ჩემს კოლეგასა და მეგობარსაც ასეთივე თავაზიანობით გაუმასპინძლდება. რომ იცოდეთ, როგორ მემძიმება ამ ქალის ნახვა! მე ხომ ჯერჯერობით მისი ქმრის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი. თუმცა უკვე მოვედით და ეს არის.

ეტლი უზარმაზარი ვილის წინ შეჩერდა, რომელსაც გარშემო ბაღი ეკრა. ჰოლმსმა სადავეები ჩვენს შესახვედრად გამოსულ ბიჭს მიუგდო და ჩვენ სახლისაკენ მიმავალ ქვიშით მოფენილ გზას გავუყევით. სახლს რომ მივუახლოვდით, პატარა ტანის აბრეშუმის კაბაში გამოკვალთული, ქალი შემოგვეგება. ოთახიდან გამომავალი შუქი უფრო საჩინოს ხდიდა მის სხეულს. ქალს ერთი ხელი კარისათვის ჩაეჭიდა, მეორე კი მავედრებელივით მაღლა ჰქონდა აშვერილი. გახსნილი ბაგე და მუდარით სავსე თვალები უთქმელად მეტყველებდა, რომ მისი არსება ერთ კითხვას შთაენთქა: რა ამბავი იყო მის თავს, სად იყო მისი ქმარი?

— როგორ არის საქმე?, — ხმამაღლა იკითხა მისის სენტ კლერმა. მაგრამ როგორც კი შენიშნა, რომ ორნი ვიყავით, შვებით ამოიოხრა, მერე ჩემი მეგობრის უმწეოდ აჩეჩილ მხრებსა და უიმედო თავის ქნევას მოჰკრა თვალი და სახეზე ისევ სასოწარკვეთა გამოეხატა.

— კარგი მახრობელი ვერა ხართ?

— მაინცდამაინც ვერაფერი შვილი მახარობელი ვარ.

— ცუდად არის საქმე?

— არც ცუდის თქმა შემიძლიან.

— კიდევ მადლობა ღმერთს! შინ შემობრძანდით. ალბათ ძალიან დაიღლებოდით.

— ეს ჩემი მეგობარი უოტსონი გახლავთ. ბევრჯერ კარგი სამსახური გაუწევია ჩემთვის და ბედნიერმა შემთხვევამ დღესაც შემახვედრა, ვიმედოვნებ, ამ საქმეშიაც არ დაგვზარდება და ჩვეული მხნეობით ამოგვიდგება გვერდში.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, — მითხრა ქალმა და ხელი გულთბილად ჩამომართვა, — ალბათ გვაპატიებთ, თუ ისე ვერ დაგიხვდებით როგორც გეკადრებათ, მაგრამ ჩვენს თავს ისეთი უბედურება ტრიალებს...

— ძვირფასო ქალბატონო, — წამოვიწყე, — მე ჯარისკაცულ ცხოვრებას მიჩვეული კაცი გახლავართ, და თუნდაც ასე არ იყოს, ჩემთან ბოდიშის მოხდა რა საჭიროა. თუ თქვენ, ან ჩემს მეგობარს საქმეში ოდნავ მაინც გამოგადგებით, თავს ძალიან ბედნიერ კაცად ჩავთვლი.

— მისტერ შერლოკ ჰოლმს, — უცებ ალაპარაკდა ლედი, როგორც კი სასადილო ოთახში შევედით, სადაც ჩვენთვის გამზადებული ცივი ვახშამი გველოდა, — მე მინდა ერთი პირდაპირი, მოურიდებელი კითხვა დაგისვათ და ძალიან გთხოვთ პასუხითაც ასევე პირდაპირ და მოურიდებლად მიპასუხოთ.

— რაღა თქმა უნდა, ქალბატონო.

— ნუ მოერიდებით ჩემს გრძნობებს. მე არც ისტერიკა დამემართება და არც გული შემიღონდება. მე მინდა თქვენი აზრი ვიცოდე, რის იმედი გაქვთ?

— რის თაობაზე?

— რას გეუბნებათ თქვენი გულისხმა, ნევილი ცოცხალია თუ არა?

შევატყვე, რომ შერლოკ ჰოლმსი დასმულმა კითხვამ შეაძრწუნა. — აი, ამწამსვე გულწრფელად მიპასუხეთ, — გაუმეორა დაჟინებით ქალმა და თვალებში გამომცდელად ჩააცქერდა.

— ამ კითხვაზე ამ წამს გულწრფელი პასუხის გაცემა არ შემიძლია.

— თქვენი აზრით, იგი ცოცხალთა სიაში აღარ სწერია?

— სამწუხაროდ, ასე მგონია.

— მოკლეს?

— პირდაპირ არ შემიძლია გიპასუხოთ, ვგონებ სწორედ აგრე უნდა იყოს.

— თქვენი აზრით, როდის უნდა მოეკლათ?

— ორშაბათს.

— მაშინ კეთილი ინებეთ და ამიხსენით, ნევილისაგან დღეის რიცხვით გამოგზავნილი წერილი, ჩემს ხელთ რომ არის, ვისი დაწერილი უნდა იყოს.

შერლოკ ჰოლმსი გველნაკბენივით წამოხტა.

— რაო? დღეის რიცხვით დაწერილი წერილიო, რა სთქვით, კარგად გამაგებინეთ! — დაიღრიალა მან.

— დიახ, სწორედ დღეის რიცხვით დაწერილი წერილი, — თქვა ღიმილით ქალმა და თან წერილი ხელში შეათამაშა.

— შეიძლება წავიკითხო?

— რაღა თქმა უნდა!

მოულოდნელობისაგან გაოცებულმა ჰოლმსმა ქალს წერილი თითქმის გამოსტაცა ხელიდან, ლამფის შუქს მიუმარჯვა და დაკვირვებით დააცქერდა. კონვერტი ძალზე უბრალო გახლდათ.

— ძალზე უხეში ხელით ნაწერი კია! — ჩურჩულებდა ჰოლმსი, — ეს თქვენი ქმრის ნაწერს არა ჰგავს.

— წერილი ჩემი ქმრის ხელით არის დაწერილი, კონვერტზე წარწერა კი სხვას ეკუთვნის, — უპასუხა ქალმა.

— კარგად დაკვირვების შედეგად მივხვდი, რომ ვინც ეს წერილი გამოგზავნა, თქვენი მისამართი არ იცოდა.

— როგორ მიხვდით?

— როგორც ატყობთ, სახელი და გვარი კონვერტზე უფრო შავი მელნით არის დაწერილი. ეს იმიტომ, რომ მელნით ნაწერი საშრობით არ შეუშვრიათ, თავისით შემშრალა. დანარჩენი ასოები უფრო ფერმკრთალი მოჩანს, რაც იმას გვანიშნებს, რომ საშრობი უხმარიათ. კონვერტზე რომ ყველა ასო ერთბაშად წაეწერათ და შემდეგ დაეშროთ, ასოები ერთნაირად ფერმკრთალი იქნებოდა. წერილის გამომგზავნმა კონვერტზე ჯერ თქვენი სახელი და გვარი წააწერა, მერე კი მისამართი შეიტყო და ისიც მიაწერა. აქედან დასკვნა: წერილის გამომგზავნმა თქვენი მისამართი არ იცოდა... ახლა კი ნება მომეცით წერილი დავათვალიერო! აჰა! წერილთან ერთად კონვერტში რაღაც დებულა.

— დიახ, კონვერტში ბეჭედი იდო, იგი სამკაული ბეჭედიც არის და დასასმელიც.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ წერილი თქვენი ქმრის ხელით არის დაწერილი?

— დიახ, ასეც წერს ხოლმე.

— „ასეც წერს ხოლმე“. ეს ნათქვამი როგორ უნდა გავიგოთ?

— ასე წერს ხოლმე, როცა ჩქარობს. მართა-

---

* დასასრული, იხ. „დროშა“, № 1.

ლია, მის ჩვეულებრივ, დინჯ ხელწერას სრულიად არა ჰგავს, მაგრამ მე მაინც შევიცანი, დიახ, ეს მისი ნაწერი გახლავთ.

„ძვირფასო, მთავარია არ შეგეშინდეს. ყოველივე კარგად დამთავრდება. სამწუხარო გაუგებრობის გამო უდიდესი შეცდომა მოხდა, რომელიც მოკლე ხანში გამოსწორდება. მოთმინებით აღიჭურვე, დამელოდე. შენი ნევილი“.

— და თქვენ ეჭვი არ გეპარებათ, რომ ეს თქვენი ქმრის ხელია, მადამ?

— არავითარი ეჭვი! სწორედ ნევილის ხელი გახლავთ.

— გამოგზავნის თარიღად წერილს სწორედ დღევანდელი რიცხვი უზის. სხვა რაღა მეთქმის, ქალბატონო, ჩამოქუფრული ღრუბლები იფანტება, მაგრამ იმის თქმა მაინც არ შემიძლია, რომ საფრთხე აღარ არსებობს.

— მაგრამ ის ხომ ცოცხალია, მისტერ ჰოლმს?!

— ერთი რამ მაოცებს: თუ თქვენი ქმარი ცოცხალია და წერილების წერა შეუძლია, რა უნდა უშლიდეს ხელს, რომ შინ არ ბრუნდება?

— ვერ მომიფიქრებია, რაღაც საოცარი ამბავია!

— ორშაბათს შინიდან წასვლისას ამბავი არაფერი დაუტოვებია?

— არა.

— და თქვენ გაოცდით, როცა იგი ოპიუმის მწეველთა სახლში იხილეთ?

— ყველაფერს ვიფიქრებდი და ნევილის იქ დანახვას არასგზით არ ველოდი.

— სარკმელი ღია იყო?

— დიახ.

— თქვენს მეუღლეს შეეძლო შეგხმიანებოდათ?

— შეეძლო.

— როგორც მე ვიცი, მან რაღაც უაზროდ შეჰყვირა, არა?

— დიახ.

— ეს რა, საშველად გიხმოთ?

— დიახ, ხელებს რაღაცნაირად იქნევდა.

— იქნებ თქვენმა დანახვამ გააოცა და იმიტომ შეჰყვირა. ისიც შესაძლოა, რომ იმ უბანში თქვენმა მოულოდნელმა გამოჩენამ იმდენად შეაცბუნა, რომ ხელები მაღლა აღაპყრო და შეჰყვირა კიდეც?

— შეიძლება.

— თქვენ ფიქრობთ, რომ იგი სარკმელს ძალით მოაცილეს?

— იგი უცებ მოეფარა თვალს.

— მას ხომ შეეძლო უკან გადახტომა. თქვენ მის გვერდით სხვა არავინ შეგინიშნავთ?

— არა, თუმცა იმ საძაგელმა მათხოვარმა აღიარა, იქ ვიყავიო. ლასკარი კი კიბის დასაწყისში დავლანდე.

— მართალია, თქვენ კარგა მანძილიდან დაინახეთ სარკმელში გადმომდგარი თქვენი მეუღლე, მაგრამ ხომ არ შეგინიშნავთ, ტანსაცმელი ჩვეულებრივ ისევე ეცვა, როგორც სახლიდან გაისტუმრეთ?

— კარგად გავარჩიე, საყელო და ყელსახვევი ზედ არა ჰქონდა. ნამდვილად ასე იყო, რადგან ყელ-კისერი შიშვლად მოუჩანდა.

— ლაპარაკში სუანდემ ლეინის ქუჩას ხომ არ ახსენებდა ხოლმე?

— არასდროს არ უხსენებია.

— გმადლობთ, მისის სენტ კლერ. ჩემთვის ძირითადი საკითხები უკვე გავარკვიე. ახლა კი ვივახშმებთ და დავისვენებთ, თორემ ხვალ ძალიან ძნელი სამუშაო გველოდება.

ჩვენს განკარგულებაში იყო უზარმაზარი ოთახი, რომელშიაც ორი საწოლი იდგა. მე იმწამსვე გავიხადე ტანსაცმელი და დასაძინებლად დავწექი. იმღამინდელმა ამბებმა საშინლად მომქანცა და თბილ ლოგინში ჩაწოლა ცხონებად მეჩვენა, შერლოკ ჰოლმსი ხომ ისეთი კაცი გახლდათ, რომელიც ერთ კვირასაც გასძლებდა უძინარი, თუ რაიმე გადაუწყვეტი ამბავი აწუხებდა. მას ხომ ძიების დროს მოსვენებული ცხოვრება არ შეეძლო. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ის მთელი ღამის თეთრად გათენებას აპირებდა: პიჯაკი გაიძრო, ჟილეტიც ზედ მიაყოლა და ლურჯი ფართო ხალათი შემოიცვა. მერე, რაც კი ოთახში ბალიშები იყო, წამოკრიფა, ერთ ადგილას მიაჭუჩა, აღმოსავლური დივანის მსგავსი რაღაც საჯდომი მოიწყო, ზედ ფეხმორთხმული წამოსკუპდა, წინ მთელი ყუთი წეკო დაიდო და ასანთის კოლოფიც ხელმისაწვდომზე მიიმარჯვა. ლამფის მკრთალ შუქზე კარგად დავინახე, როგორ იჯდა იქ პირშიჩიბუხგაჩრილი და წეკოს ბოლში გახვეული. თვალები ჭერისათვის მიეპყრო, ხმას არ იღებდა, არც ინძრეოდა და იმ მკრთალ შუქზეც კი აშკარად ჩანდა მისი არწივისებური გამოკვეთილი ნაკვთები. ასე იჯდა მაშინ, როცა მე დასაძინებლად დავწექი, ასევე იჯდა მაშინაც, როცა მისმა უეცარმა წამოძახილმა გამომაღვიძა. ზაფხულის მობრდღვიალე მზე უკვე ამოწვერილიყო და იქაურობა ოქროსფერი სხივებით მიექარგ-მოექარგა. ჩიბუხი ისევ ისე პირში გაჩრილი ჰქონდა, თამბაქოს ბოლს მთელი. ოთახი აევსო, ეტყობა, წეკო მთლიანად დაენავლებინა.

— გაიღვიძეთ, უოტსონ? — მკითხა ჰოლმსმა.

— დიახ, — ვუპასუხე მე.

— ამ დილაადრიან გასეირნება არ გვაწყენდა! ჰა, რას იტყვით?

— დიდი სიამოვნებით.

— მაშ სწრაფად ჩაიცვით. მართალია, მასპინძლები ჯერ არ წამომდგარან, მაგრამ მე ვიცი, მეჯინიბეს სადაც სძინავს და ეტლს თვალისდახამხამებაში გავამზადებინებ.

ჩაცმისას საათს დავხედე. გასაკვირი არც იყო, რომ მასპინძლებს ისევ ეძინათ. ხუთის ოცდახუთ წუთზე ადგომა არცთუ იოლი საქმეა. ის-ის იყო ჩაცმას ვამთავრებდი, რომ კარებში ჰოლმსი გამოჩნდა და მახარა — მეეტლე ბიჭი უკვე გველოდებაო.

— მინდა ერთი ჩემი ვარაუდი შევამოწმო, — წარმოთქვა ჰოლმსმა და თან ჩექმის ყელი მაღლა აქაჩა, — უნდა გითხრათ, უოტსონ, რომ ამჟამად ჩემი სახით თქვენ მთელს ევროპაში ყველაზე დიდ სულელ ადამიანს უჭვრეტთ. მაგრამ მე მგონია, ახლა კი მივაგენი ამ საქმის გასაღებს.

— მერედა სად იპოვნეთ ის თქვენი გასაღები? — ვკითხე მე სიცილით.

— სააბაზანოში, უოტსონ, — მიპასუხა ჰოლმსმა, — არ გეგონოთ, რომ ვოხუნჯობ, — განაგრძო მან, როცა ჩემი უნდობელი მზერა შენიშნა, — მე სწორედ ახლა ვიყავი სააბაზანოში, გასაღები თან წამოვიღე და ჩემს ტყავის ჩანთაში ჩავდე. აბა, წავიდეთ და ვნახოთ, მიუდგება თუ არა ჩემი გასაღები საიდუმლოებით მოცულ ბოქლომს.

დაბლა, რაც კი შეგვეძლო, ჩუმად ჩავედით. ეტლი უკვე თემშარაზე იდგა და გველოდა. კოფოზე პატარა მეეტლე წამოსკუპულიყო. ჩავჯექით თუ არა, ეტლიც დაიძრა და ლონდონისაკენ გაგვაქროლა.

— ერთი შეხედვით, ზოგიერთი თავისებურება ამ საქმესაც აქვს, უოტსონ, — წამოიწყო ჰოლმსმა და ცხენი ააჩქარა. ვაღიარებ, რომ თხუნელასავით ბრმად მივუდექი ამ საქმეს, მაგრამ სჯობს ჭკუას გვიან მაინც მოეგო, ვიდრე არასოდეს.

ლონდონში სურეის მხრიდან შევგრიალდით. ვატერლოოს ხიდი გადავიარეთ, ველინგტონის ქუჩას გავუყევით, მარჯვნივ შევუხვიეთ და თავი ბოუ სტრიტზე ამოვყავით. შერლოკ ჰოლმსს პოლიციელები კარგად იცნობდნენ. ახლაც, დაინახეს თუ არა, ორი კონსტებელი გამოეგება. ერთმა ჰოლმსს სადავეები ჩამოართვა, მეორე კი შენობაში შეგვიძღვა.

— მორიგე ვინ არის? — იკითხა ჰოლმსმა.

— ინსპექტორი ბრედსტრიტი, სერ.

— ოჰ, ბრედსტრიტ, სხვა როგორ ცხოვრობთ? — შინაურულად გაეხმიანა ჰოლმსი.

მაღალი, ჩასუქებული, ფორმაში გამოწყობილი პოლიციის მორიგე ქვის ფილაქანზე გამოგვეგება.

— თქვენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს, ბრედსტრიტ.

— მობრძანდით თქვენი სტუმრიანად ჩემს ოთახში, — შეგვიპატიჟა პოლიციის მორიგემ.

ბრედსტრიტის ოთახი კანცელარიას უფრო მოაგავდა, ვიდრე საგამომძიებლო საკანს. მაგიდაზე უზარმაზარი სარეგისტრაციო წიგნი იდო, კედელზე კი ტელეფონი დაეკიდებინათ. ინსპექტორი მაგიდას მიუჯდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ, მისტერ ჰოლმს? — უთხრა ინსპექტორმა.

— მე ის მათხოვარი ბუნი მაინტერესებს, ნევილ სენტ კლერის გაუჩინარების საქმეზე რომ ჩასვით.

— დიახ, ჩვენთან არის და საქმე კვლავ ძიებაშია.

— ვიცი, რომ საქმე ძიებაშია, ბუნი ამჟამად აქა გყავთ?

— საკანშია.

— მშვიდად არის?

— ძალიან, მაგრამ ასეთი ბინძური კაცი ჯერაც არ მინახავს.

— ბინძური?

— ხელები კი, როგორც იყო, დავაბანინეთ, მაგრამ სახე მკალავივით შავად მოზუნზლული აქვს. როგორც კი ძიებას დავამთავრებთ, ციხის აბანოში უნდა შვიდი პირი ტყავი გავაძროთ. როცა ნახავთ, თქვენც იტყვით, რომ გასახეხიც არის და ტყავგასაძრობიც.

— ძალიან მინდა, რომ ვნახო.

— მისი ნახვა გინდათ? ეს ადვილი საქმეა. წამომყევით და გიჩვენებთ. ჩანთა შეგიძლიათ აქ დატოვოთ.

— არა, თან მინდა მქონდეს.

— როგორც გნებოთ, აი ამ კიბით დაბლა უნდა ჩავიდეთ. მობრძანდით, — პოლიციის ინსპექტორმა დაკეტილი კარი გააღო. ჩვენ თეთრად შეღებილ დერეფანში აღმოვჩნდით. დერეფანს ორივე მხარეს უამრავი კარი ჰქონდა დატანებული.

— მარჯვნივ მესამე კარი ბუნის საკნისაა, — გვითხრა ინსპექტორმა, — აი, მოვედით კიდეც. მან ფრთხილად გადასწია კარებზე კარგა მაღლა დატანებული გარედან სათვალთვალო და საკანში შეიჭვრიტა.

— სძინავს, — თქვა ინსპექტორმა, — მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მშვენივრად დაინახოთ პატიმარი.

ჰოლმსის შემდეგ მეც შევიჭვრიტე საკანში. პატიმარს სახე კარისაკენ ჰქონდა მობრუნებული და ღრმა ძილით ეძინა. იგი ნელა და ღრმად სუნთქავდა. საშუალო ტანის კაცი გახლდათ. ჩაცმული ისე იყო, როგორც ნამდვილ მათხოვარს შეჰფეროდა. დაგლეჯილი პიჯაკის შიგნიდან ფერადი პერანგი მოუჩანდა. როგორც ინსპექტორმა გვითხრა, მართლაც ძალიან ჭუჭყიანი და დასვრილი მეჩვენა, მაგრამ მისი ამაზრზენი სიმახინჯის დამალვა ამ ჭუჭყსაც არ შეეძლო. კარგა ფართო ნაიარევი თვალიდან ეწყებოდა და ნიკაპამდე მოჰყვებოდა. გახეთქილი, ერთ მხარეს გადმობრუნებული ზედა ტუჩი დაკრეჭილ კბილებს ვეღარ უფარავდა და სამი კბილი, ეტყობოდა, ეშვივით მუდმივად წინ გამოჩრილი ჰქონდა. რაღაც უცნაური, წითლად მოელვარე თმა შუბლზე ჩამოშლოდა და თვალებამდე უწევდა.

— სრულყოფილი სილამაზეა, არა? — თქვა ინსპექტორმა.

— მაგას ახლავე კარგი გაბანება მოუხდება, — შენიშნა ჩემმა მეგობარმა, — მე თან წამოვიღე ამისათვის საჭირო ყველა ხელსაწყო.

ჰოლმსმა ტყავის ჩანთა გახსნა და, ჩემდა გასაოცრად, კარგა მოზრდილი სახეხი ღრუბელი ამოაძვრინა.

აბანოს ღრუბელის დანახვაზე ინსპექტორმა თავი ვერ შეიკავა და ჩაიხითხითა.

— თუ თქვენ ახლა სიკეთეს გამოიჩენთ და კარს ძალიან ფრთხილად გახსნით, ჩვენ ამ ამაზრზენ, მახინჯ მათხოვარს უფრო ლამაზ კაცად ვაქცევთ.

— რატომაც არა! — თქვა ინსპექტორმა, — ეგ ხომ თავისი სიბინძურით მთელს ჩვენს ციხეს არცხვენს, — მან ნელა შეაცურა გასაღები კარის საკეტში და სამივენი უცებ საკანში აღმოვჩნდით. პატიმარი ერთი კი შეიშმუშნა და მერე კვლავ ხვრინვა ამოუშვა. ჰოლმსმა წყლით სავსე დოქი აიღო, ღრუბელი კარგად დაასველა და პატიმარს ორჯერ მაგრად გადაუსვა სახეზე.

— ნება მომეცით, — მთელი ხმით შეჰყვირა ჰოლმსმა, — თქვენი თავი მისტერ ნევილ სენტ კლერს წარვუდგინო.

ასეთი სანახაობა ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. პატიმრის სახე ღრუბელმა კანგაძრობილ ხეს დაამგზავსა. უეცრად გაქრა მისი სახიდან სიშავე, ფართო ნაიარევიც უცებ გაუჩინარდა. გახეთქილი ტუჩიც იმწამსვე შეხორცდა. დაკრეჭილი ეშვებივით წინ გამოჩრილი კბილებიც აღარსად ჩანდა. წითლად მოელვარე თმაც უცებ გაქრა და ჩვენ ფერმკრთალი, მწუხარე სახის, ფაქიზი, შავგვრემანი, უხორკლო კანის პატრონი კაცი წარმოგვიდგა. იგი ძილიდან ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო, თვალებს იფშვნეტდა და საწოლზე წამომჯდარი რაღაც უაზროდ შემოგვცქეროდა. მერე, უცებ გონს მოეგო, ერთი მაგრად ამოიგმინა და თავი ბალიშში ჩარგო.

— ღმერთო ძლიერო! — შეჰყვირა ინსპექტორმა, — ეს ხომ სწორედ ის არის, ვისაც ჩვენ დავეძებთ. ფოტოსურათი მაქვს ნანახი და სწორედ ის არის.

ბედისწერას მინდობილ ნევილ სენტ კლერის თვალებში სასოწარკვეთილებამ დაისადგურა.

— რაც არის, არის, — წარმოთქვა მან, — ამ დილეგში რისთვის მამყოფებთ?

— მისტერ სენტ კლერის მკვლელობისათვის, თუმცა რას ვამბობ, თქვენ ახლა მკვლელობაში ბრალს ველარ დაგდებთ. თვითმკვლელობის მცდელობის ბრალდებასღა თუ წამოგიყენებთ, — ჩაიქირქილა ინსპექტორმა, — ოცდაშვიდი წელიწადია პოლიციაში ვარ და ასეთ ამბავს პირველად გადავეყარე.

— თუ მე მისტერ სენტ კლერი ვარ, მაშინ ნათელია, რომ არავითარი დანაშაულის ჩამდენი მე არა ვარ და საპატიმროშიც უსაფუძვლოდ ვიმყოფები.

— დანაშაული არ ჩაგიდენიათ, მაგრამ არც ვერიტივით უცოდველი ბრძანდებით, — უთხრა ჰოლმსმა, — თქვენთვის უმჯობესი იყო საკუთარი ცოლისათვის გაგენდოთ თქვენი საიდუმლო.

— საქმე ცოლი კი არა, საკუთარი ბავშვებია, — ისე ამოსთქვა მკერდიდან სენტ კლერმა, თითქოს ამ სიტყვებს გული თან ამოაყოლაო, — ღმერთო, შენ მიშველე, მე არ მინდოდა, რომ ისინი ჩემს გამო გაწითლებულიყვნენ საზოგადოებაში. ღმერთო, რა მეშველება? რა უნდა მოვიმოქმედო?

შერლოკ ჰოლმსი სენტ კლერს გვერდით მიუჯდა და მხარზე ხელი გამამხნევებლად მოუთათუნა.

— საქმე თუ სასამართლომდე მივა, რაღა თქმა უნდა, გახმაურდება და ქვეყანა გაიგებს. მაგრამ თუ პოლიციის თანამშრომლები დარწმუნდებიან, რომ თქვენ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაგიდენიათ, მაშინ საქმე პოლიციაშივე მოიხრჩობა და გაზეთებიც ვერ აყაყანდებიან. დარწმუნებული ვარ ინსპექტორი ბრედსტრიტი გულდასმით ჩაიწერს თქვენს ჩვენებას, გადასცემს თავის უფროსებს და საქმეც ამით დასრულდება.

— ღმერთმა გიშველოთ! — წამოიყვირა ცხარედ სენტ კლერმა. — მზადა ვარ ყოველგვარ სასჯელს გულმშვიდად შევხვდე, თუნდაც სიკვდილით დასჯასაც კი, ოღონდაც ჩემს სამარცხვინო თავგადასავალს ჩემი შვილები ნუ შეიტყობენ.

თქვენ იქნებით ჩემი თავგადასავლის პირველი მსმენელნი. მამაჩემი ჩესტერფილდის სკოლის მასწავლებელი გახლდათ. იქვე მიმაღებინა საუკეთესო აღზრდა. ახალგაზრდობაში ბევრი ვიმოგზაურე, სცენაზეც ვცადე ბედი, დაბოლოს, ლონდონში სალამოს გაზეთის რეპორტიორად დავიწყე მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს რედაქტორს სურვილი აღეძრა გაზეთში ნარკვევების სერია შეექმნა დედაქალაქში მათხოვრობაზე და ამ ნარკვევების დაწერა მე დამავალეს. ეს ამბავი გახლდათ სწორედ ჩემი უბედური თავგადასავლის დასაწყისი. ნარკვევები რომ მკითხველთათვის უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო გამეხადა, გადავწყვიტე მათხოვრის ტანსაცმელი გადამეცვა და ქალაქში ისე გავსულიყავი. როგორც ყოფილმა მსახიობმა, რაღა თქმა უნდა, გარდასახვის ხერხებიც ვიცოდი და გრიმის გაკეთების ხელოვნებასაც კარგად ვიყავი დაუფლებული. ჩემი ცოდნა სწორედ ახლა გამომადგა. სახე შევიღებე და საკუთარი თავისათვის უფრო საცოდავი და შესაბრალი შესახედაობა რომ მიმეცა, პირზე ნაიარევი დავიმჩნიე. კანისფერი პლასტილინით ზედა ტუჩი მაღლა ავწიე და ყველაფერი იმით დავაგვირგვინე, რომ თავზე წითელი პარიკი გავიკეთე, მათხოვრის ძონძები ჩავიცვი და მოწყალების სათხოვნელად სიტის ყველაზე უფრო ხალხმრავალ ადგილს მივაშურე. თავს ყველას ისე ვაჩვენებდი, ვითომ ასანთის გამყიდველი ვიყავი, სინამდვილეში კი ვმათხოვრობდი. პირველ დღეს შვიდ საათს ვიჯექი გაუნძრევლად. შინ რომ დავბრუნდი, ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე, რომ სამოწყალო თანხა 26 შილინგი და ოთხი პენსი შემეგროვებინა.

ნარკვევები დავწერე და მათხოვრობის ამბავი დავიწყების მდინარეს მივეცი.

ერთხელ, სისულელე ჩავიდინე და ერთს ჩემს მეგობარს ვალის გადახდის თავდებად დავუდექი. თანხა 25 ფუნტ სტერლინგს აღწევდა. მათხოვრობის გათამაშების დღიდან დიდხანს არ გაევლო, რომ ჩემი მეგობრის სილატაკის გამო, ვალის გადახდა, როგორც თავდებს, მე დამაკისრეს. გონებას ძალას ვატანდი, მაგრამ ვერაფრით ვერ მომეგონებინა საიდან უნდა მეშოვა ამოდენა ფული. უეცრად ჩემი მათხოვრობის ამბავი გამახსენდა. მეველეს ვთხოვე ფულის გადახდა ორი კვირით მადროვე-მეთქი, სამუშაოზე შვებულება ავიღე და სამათხოვროდ ძველ, ამოჩემებულ ადგილს მივაშურე. საჭირო თანხას ათ დღეში მოვუყარე თავი და მევალე გავისტუმრე. ახლა გთხოვთ წარმოიდგინოთ, ადვილია თუ არა, კვირაში ორ ფუნტად ენაგადმოგდებული, დაძაბული მუშაობა, მაშინ, როცა იცი, რომ ამ ორ ფუნტს, უბრალოდ სახის შეღებვითა და ქუდის დაბლა დაგდებით იშოვი, რომ ხელი არ გაანძრიო.

სიამაყე და ფულის შოვნის წყურვილი დიდხანს იბრძოდნენ ჩემს არსებაში, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ფულის ყოვლისმძლე ძალამ გაიმარჯვა. რეპორტიორობას თავი მივანებე და ისევ სამოწყალოდ ერთხელ არჩეულ კუნჭულს მივაშურე. გამვლელ-გამომვლელთ თავს ვაბრალებდი და ჯიბეებს ფულებით ვივსებდი. ჩემი საიდუმლო მხოლოდ ერთ კაცს გავანდე. ეს სუონდემ ლეინზე მოთავსებული ბუნაგის მფლობელი გახლდათ. ამ ბუნაგიდან ყოველ დილით გამოვდიოდი, როგორც მათხოვარი, ხოლო საღამოობით შინ ისევ კარგად ჩაცმულ-დახურული ვბრუნდებოდი. იმ ყმაწვილს, — ლასკარზე მოგახსენებთ, — ოთახების საფასურად კარგა გვარიან თანხას ვუხდიდი, ასე რომ, ვიცოდი ჩემს საიდუმლოს არავის ეტყოდა.

მალე დავატყვე, საქმე კარგად მიდიოდა და ჩემს ხელში, ყოველწლიურად, თავს კარგა გვარიანი თანხა იყრიდა.

გამდიდრებამ პატივმოყვარე გამხადა. მალე ქალაქგარეთ სახლი დავიქირავე და დავქორწინდი. ძეხორციელმა არ იცოდა ჩემი ნამდვილი მოსაქმეობა და ასავალ-დასავალი. ჩემმა ძვირფასმა ცოლმა მხოლოდ ის უწყოდა, რომ მე სიტიში ვსაქმიანობდი, მაგრამ, რა საქმიანობას ვეწეოდი, ამის თაობაზე წარმოდგენა არა ჰქონდა.

გასულ ორშაბათს სამუშაო დღე მოვამთავრე, შინ წასასვლელად მზადებას შევუდექი და უკვე ტანსაცმელს ვიცვლიდი, რომ ჩემდა საუბედუროდ სარკმელში გამოვიხედე და პირდაპირ ქუჩაში მდგომი ჩემი მეუღლის თვალსაწიერზე აღმოვჩნდი. მოულოდნელობისა და შიშისაგან ერთი შევყვირე, სახეზე ხელები ავიფარე, ჩემგან ნდობა გამოცხადებულ ლასკარს მივაშურე და შევევედრე ჩემს სანახავად არავინ შემოეშვა. კარგად მესმოდა როგორ წიოდა და კიოდა დაბლა ჩემი მეუღლე. მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ მაღლა არ ამოუშვებდნენ. საგარეო ტანსაცმელი ჰაიჰარად გავიძრე, ისევ მათხოვრის ძონძებში გამოვეწყე, სახეზე გრიმი გავიკეთე, თავზე პარიკი დავიხურე და კარს მომდგარ უბედურებასთან შესახვედრად მოვემზადე. ასე გადაცმულს, შემეძლო გულდაჯერებული ვყოფილიყავი, სხვები კი არა, საკუთარი ცოლიც ვერ მიცნობდა. სწორედ ამ დროს გამკრა გონებაში, რომ დაეჭვებულ ჩემს მეუღლეს შეეძლო ოთახის გაჩხრეკა მოეთხოვა და მაშინ ჩემივე საგარეო ტანსაცმელი გამამხელდა. სარკმელს მივვარდი და უცებ გამოვაღე. სიჩქარეში, დილით, საწოლ ოთახში გაჭრილი თითი სარკმელს უხერხულად მოვახვედრე და ჭრილობიდან კვლავ სისხლი დამედინა. მერე უკვე გადარჩეული ფულით სავსე პიჯაკს ვეცი და მდინარე თემზაში გადავუძახე. დანარჩენი ტანსაცმელის თემზაში გადაყრასაც ვაპირებდი, მაგრამ ოთახში დაბლა სართულიდან პოლიციელები შემოიჭრნენ და განაზრახის შესრულება ველარ შევძელი. ჩემდა გასახარად, პოლიციელებმა ჩემში სენტ კლერი ვერ ამოიცნეს, და როგორც მისი მკვლელი, ისე დამაპატიმრეს.

დანარჩენი ამბავი, მგონია, ჩემს ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს. სახეს არ ვიბანდი, ვინაიდან ვიცოდი, ჩემი საიდუმლოს გადარჩენა მხოლოდ ამ გზით შემეძლო.

— ნუთუ თქვენ მათხოვრობის გამო პასუხისგებაში ერთხელაც არ მოხვედრილხართ?

— ძალიან ბევრჯერ, მაგრამ ჯარიმის გადახდა არასოდეს გამჭირვებია!

— ამიერიდან ჯარიმა არ გიშველით. თუ პოლიციამ ეს საქმე უნდა ჩაფარცხოს, ჰიუჯ ბუნმა სარბიელი უნდა დათმოს.

— მე უკვე საშინელი ფიცით დავიფიცე, ამ ხელობას თავს მივანებებ-მეთქი.

— მაშინ, მართლაც შეიძლება საქმე მოვსპოთ. მაგრამ თუ კვლავ იმათხოვრებთ, ყოველივეს ნათელი მოეფინება. თქვენ კი საქმის დროული გამომჟღავნებით კვლავ დიდად დაგვავალეთ, მისტერ ჰოლმს, — მიმართა ჩემს მეგობარს ბრედსტრიტმა. საინტერესო და თავსატეხი კია, რა ადვილად ამოხსნით ხოლმე ასეთ აწეწილ-დაწეწილ ამოცანებს!

— ამჯერად ეს, მართლაც ძალიან არ გამჭირვებია. სავარძელში მჯდომმა ერთი კოლოფი წეკო მოვწიე და საქმის გასაღებსაც მივაგენი.

ჰოლმსი მერე მე მომიბრუნდა და მშვიდად მითხრა:

— თუ ბეიკერ-სტრიტისაკენ ახლავე გავეშურებით, საუზმობის დროს იქ ვიქნებით.

ინგლისურიდან თარგმნა
**ელგუჯა მაღრაძემ.**



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

ქართულ ესთეტიკურ აზროვნებას შორეული სათავეები აქვს. უკვე იმ დროიდან, როცა იწერებოდა პირველი ქართული მოთხრობები და ლექსები, იხატებოდა პირველი ფრესკები, იქმნებოდა პირველი მუსიკალური ნაწარმოებები, ქართველი კაცი ღრმად უფიქრდება ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემას, ცდილობს ჩაწვდეს და ამოიცნოს სილამაზის საიდუმლოების არსი; ამრიგად, ქართულ ესთეტიკურ აზროვნებას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორიც ქართულ ხელოვნებას და ლიტერატურას. თეორია და პრაქტიკა, წარმოშობიდანვე, საწყისებიდანვე ერთად მოდიოდნენ, განსაზღვრავდნენ ერთიმეორეს, ახდენდნენ ურთიერთზემოქმედებას, ესთეტიკური აზრი, ხელოვნების ფილოსოფია უნათებდა წინსვლის გზას ქართული სიტყვის ოსტატსაც, რომელიც ქმნიდა პოეზიისა და პროზის შედევრებს, ხუროთმოძღვარსაც, რომელიც აგებდა ტაძრებსა და ციხე-კოშკებს, ჭედურობის ოსტატსაც, რომელსაც ლითონზე გამოჰყავდა თავისი დროის ცხოვრების სურათები და ა. შ. ხშირად, მოძღვრება მშვენიერებაზე როგორც ჩვენში, საქართველოში, ისე უცხოეთში, იქნებოდა ეს ანტიკური საბერძნეთი თუ რომი, ირანი თუ არაბული სამყარო, შუა საუკუნეების იტალია თუ საფრანგეთი — გადმოცემული იყო არა სპეციალურ ესთეტიკურ ტრაქტატებში, არამედ ჩართული და ჩაქსოვილი იყო თვით მხატვრულ ნაწარმოებში, პოემაში, რომანში, ავტორისეული შესავალის ან პერსონაჟთა გამონათქვამების საშუალებით.

წარსულის ამ დიდი მემკვიდრეობის, როგორც მსოფლიო, ისე ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის შესწავლას და თეორიულ გააზრებას ისახავს მიზნად მწერალი და მეცნიერი, აკად. გიორგი ჯიბლაძე რუსულ ენაზე ახლახან გამოცემულ თავის წიგნში „ხელოვნება და სინამდვილე“, რომელიც ადრე ქართულ ენაზე გამოიცა.

გ. ჯიბლაძის ეს ნაშრომი გვაძლევს მკაფიო სურათს, თუ როგორ ვითარდებოდა მსოფლიო ესთეტიკური აზრი, და რაც აქ ქართველი მკითხველისათვის მთავარია, გვიჩვენებს, თუ რა ადგილი ეჭირა ქართულ ესთეტიკურ აზროვნებას მსოფლიო აზრის ზეაღმავალი განვითარების საერთო პროცესში; ეს ადგილი კი ფრიად მნიშვნელოვანია. ეს ნათელი ხდება, როცა მკვლევარი პლატონისა და არისტოტელეს ესთეტიკის განხილვის შემდეგ ცალკე თავად გამოყოფს რუსთაველის ესთეტიკას. უკვე ეს სახელები თავისთავად ესთეტიკური აზრის განვითარების ცალკე ეპოქებზე მიგვანიშნებენ. შემდეგ ავტორი ეხება თეიმურაზ პირველის, არჩილის, მამუკა ბარათაშვილის, იოანე ბატონიშვილის და სხვა ქართველი მწერლების ესთეტიკურ ნააზრევს.

წიგნში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრობლემების განხილვას; ავტორი დაწვრილებით განიხილავს მშვენიერების პრობლემას ბუნებასა და ხელოვნებაში; ამას მოსდევს თავები „ესთეტიკა და კრიტიკა“ და „თანამედროვეობა ხელოვნებაში“.

წიგნის ავტორმა, აკად. გ. ჯიბლაძემ ათეული წლები მოანდომა თანამედროვე ესთეტიკის ძირეული პრობლემის — ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების პრობლემის გარკვევას. მკვლევარი ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ისტორიისა და კრიტიკის საუკეთესო მონაცემებს ფლობს და თანაბარ უნარს იჩენს ჩვენი ესთეტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ამ სამს, ერთმანეთისაგან განუყრელ დარგში. ეს კი მის ნაშრომებს მატებს ცხოველმყოფელობას, აქტუალობას, აძლევს მას უნარსა და ძალას არა მარტო შეაფასოს ჩვენი ლიტერატურის განვლილი გზა, არამედ, იმავე დროს, აქტიური მონაწილეობაც მიიღოს მისი შემდგომი განვითარების ცოცხალ პროცესში.



ეროვნული ბიბლიოთეკა




თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა გ. ჯიბლაძის მეორე წიგნი — „ესთეტიკური აღზრდის პრინციპი“, (რუსულ ენაზე). ამ წიგნში თეორიულ ასპექტში განხილულია პრობლემა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე აღზრდის სისტემასთან. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: რა არის ესთეტიკური აღზრდა, ესთეტიკური აღზრდის პრინციპული საკითხები, ესთეტიკური აღზრდის ისტორიული საფუძვლები, ხელოვნების როლი ესთეტიკურ აღზრდაში, შრომის როლი ესთეტიკურ აღზრდაში, ესთეტიკური და მორალური აღზრდა, ესთეტიკური აღზრდის თეორიული გააზრების ისტორიული გამოცდილება და სხვ. ეს წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს პედაგოგებს და მეთოდისტებს, რომლებიც უშუალოდ განაგებენ ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს. ხსენებული წიგნი მონოგრაფიის სახით პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე 1968 წელს და მას მაღალი შეფასება მიეცა როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო პრესის ფურცლებზე. წიგნმა დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.



ახალსოფლის ნორჩი თაობა (ზუგდიდის რაიონი).

ფოტო
ი. დავითაშვილისა
და
ბ. კიკვაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტული მოთხრობა

# საწოვარა



გულის თრთოლვით ავიარე საავადმყოფოს კიბე. დერეფანში დასტაქარი შემხვდა. არ მომეწონა ის ამბავი, რომ იგი რატომღაც ჩვეულებრივზე უფრო ცივად მომესალმა, გვერდი ამიარა და თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა. დავეწიე ექიმს და შეშფოთებულმა ვკითხე:

— გულახდილად მითხარი, შენი ჭირიმე, გადარჩება თუ არა ჩემი ავადმყოფი?

— ვინ იცის, — მითხრა, — შეიძლება მოხდეს სასწაული და გადარჩეს, — გადმომიგდო მან და აჩქარებული ნაბიჯით საოპერაციო ოთახისაკენ გასწია.

საცოდავი ჩემი ცოლი აქ იწვა, ორთოპედიულ ინსტიტუტში, არაადამიანური ტკივილები ჰქონდა და გამუდმებით კვნესოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესად ხდებოდა, აშკარად ვხედავდი, რომ ქალი ხელიდან მეცლებოდა.

ყველაფერი ეს უბედური შემთხვევის ბრალი იყო: ვიღაც ავტოხულიგანმა ქუჩაში თავისი „ვოლგა“ დააჯახა ჩემს ცოლს, მოსტეხა მარცხენა ფეხი, სერიოზულად დაუზიანა ლავიწის ძვალი, ჩაუნგრია გულის ფიცარი და სამი ნეკნი, ქალმა დაკარგა მეტყველებაც.

ავტოხულიგანი კი უკვალოდ გაქრა, ნომერიც ვერავინ ჩაიწერა.

ახლა ერთი სანატრელი-ღა მქონდა — ნეტავი ჩემი ნატო როგორმე გადარჩეს-მეთქი, ვიმეორებდი ყოველ წუთს და თან ცრემლებს ვიწმენდდი. საშინელ გასაჭირში ჩავვარდი. რკინიგზაზე ვმუშაობ, მეისრედ და აბა, ფული საიდან მექნებოდა, ყელამდე ვალებში ვიყავ ჩაფლული. იმ დღესაც, რომ იტყვიან, მამასისხლად, ხელზე ვიყიდე წამალი და ჯიბეგაცარიელებული, მწარე ფიქრებში ჩაძირული, ავედი ხალხით გაჭედილ ტროლეიბუსში.

ვდგავარ და ისევ საცოდავ ნატოზე ვფიქრობ. უცებ ვიღაც გათახსირებულმა უსირცხვილოდ ჯიბეზე ხელი მომითათუნა. გადავხედე, ელეგანტურად აცვია. ავადმყოფივით გამაჟრიალა წელში. მინდოდა მეყვირა — არამზადავ, რას სჩადიხარ, რა ნება გაქვს სხვის ჯიბეში ხელს რომ აფათურებ? მერე ვიფიქრე, მოდი სილას გავაწნავ, აქვე შევკოჭავ და კინწისკვრით მილიციაში წავათრევ-მეთქი.

მხდალი არა ვარ, მაგრამ იმ წუთში რატომღაც შიშმა ამიტანა. გამახსენდა, რომ სიცოცხლე დაზღვეული არა მქონდა, წამით გადავხედე ცხვრებივით მორიდებულ მგზავრებს და გავითვალისწინე, რომ მოწმედ არავინ წამომყვებოდა.

ამიტომაც ვამჯობინე აღარ გავნძრეულიყავ, რაც არა მაქვს, რას წაიღებს-მეთქი, აყალმაყალს თავი ავარიდე და ჩემს გაჩერებაზე ჩამოვედი.

დაღონებული მივდივარ შინისაკენ, ჯიბე როგორღაც გამობერილი მეჩვენა, ჩავიყავი ხელი. რაღაც პრიალა ქაღალდებია. სულმოუთქმელად ამოვიღე და მოულოდნელობისაგან ადგილზე გავქვავდი. ხელში ახალთახალი ოცდახუთმანეთიანების დასტა მეჭირა. თვალებს არ დავუჯერე, სასწრაფოდ გადავთვალე ფული. მოზრდილი თანხა აღმოჩნდა, ზუსტად ორი ათასი მანეთი.

„ თუ არ სჭირდები ვინმეს, ისე რას მოგცემს, — გავიფიქრე უცებ, — ნამდვილად ჩემმა მტრებმა პროვოკაცია მომიწყვეს, ფული დამინომრეს, ფარულად ჯიბეში ჩამიდეს, და ალბათ საცაა დამიჭერენ კიდეც“.

თავზარდაცემულმა აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე, ბედზე, ახლოს ტაქსი დავინახე, გავაჩერე და ვუთხარი მილიციაში წავეყვანე.

აი, ჩვენი რაიონის მილიციაც. ვეცი მორიგეს, მიშველე, მტრებმა ქრთამი მომიგდეს-მეთქი. მორიგემ გულდასმით მოისმინა ჩემი ნაამბობი, მერე მკითხა — სად მუშაობთ, რომელი დაწესებულების უფროსი ხართო. ჩემი პროფესია რომ ვუთხარი, ეჭვიანად შემომხედა, შერლოკ ჰოლმსივით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, შუბლზე ხელი დამადო და გაკვირვებით მხრები აიჩეჩა, თანაც დასძინა: ასეთი რამ ჩემს პრაქტიკაში პირველად მხვდებაო!

მორიგე ერთხელ კიდევ გაოცებით დამაკვირდა და ყოველ შემთხვევისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამაქანა.

ფსიქიატრები თავაზიანად მომეპყრნენ, ჯერ წნევა გამისინჯეს, შემდეგ რაღაც ტაბლეტი გადამაყლაპეს, ვენაში ნემსი გამიკეთეს, რენტგენზე გამაშუქეს, კომპლექსური ანალიზი ამიღეს და როცა დარწმუნდნენ, ნორმალური ვარ, საავადმყოფოდან გულთბილად გამომისტუმრეს. ცნობაც მომცეს, რომ შეშლილი არა ვარ. მილიციის მორიგემ ფულის მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმა. მივეცი ფული და თავისუფლად ამოვისუნთქე.

მას მერე ხუთი წელი გავიდა. ერთ საღამოს მე და ჩემი ნატო, უკვე გამოჯანმრთელებული, აივანზე ვისხედით და მურაბიან ჩაის ვსვამდით. და ის იყო კიდეც, ნაცნობმა ფოსტალიონმა ცისფერი კონვერტი გამომიწოდა. კონვერტში, ბარათთან ერთად სამმანეთიანი აღმოჩნდა.

მეც და ნატოც ისე გაოცებული ვართ, ხმას ველარ ვიღებთ. როგორც იყო, გონს მოვედი, მოვძებნე სათვალე და წერილის ხმამაღლა კითხვა დავიწყე. ვიღაც უცნობი მოქალაქე მწერდა:

„მე თქვენ პირადად არ მიცნობთ და ნურც შეეცდებით ჩემს გაცნობას. მოხარული ვარ, რომ ჯანმრთელად ბრძანდებით. არ მინდოდა კიდევ ერთხელ გამეხსენებინა ის დიდი ტრავმა, რაც თქვენმა ოჯახმა ამ ხუთიოდე წლის წინათ გადაიტანა. შორიდან გადევნებდი თვალყურს და თქვენი ტანჯვა საკუთარ ტკივილად მიმაჩნდა. ღამეები არ მეძინა. სულ იმაზე ვფიქრობდი, თქვენთვის რაიმე დახმარება გამეწია; მაშინ მე თვითონ მიჭირდა, მაინც გავყიდე რაღაც ნივთები, ფული ვიშოვნე, მაგრამ არ მინდოდა ჩემი ვინაობის გამხელა. ამიტომ იყო, რომ ტროლეიბუსში მგზავრობისას ჯიბეში ფული ფარულად ჩაგიდეთ და გავუჩინარდი. ბოდიშს ვიხდი, რომ ორი ათასი მანეთის მეტი ვერ მოგაშველეთ, მაგრამ მაინც ოდნავ დავმშვიდდი, რადგან უყურადღებოდ არ დაგტოვეთ და ნაწილობრივ მაინც შეგიმსუბუქეთ მდგომარეობა.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, თუ ვინა ვარ. კეთილი, ახლავე მოგახსენებთ: მე ერთი უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი ვარ, ის შოფერი გახლავართ, ვინც ამ ხუთიოდე წლის წინ თქვენს ოჯახობას ასეთი უბედურება დაატეხა თავს, მერე მართლმსაჯულებას თავი აარიდა და უგზო-უკვლოდ გადაიკარგა. ამ ბარათს რომ მიიღებთ, ალბათ ცოცხალი აღარ ვიქნები. როგორც ჩანს, ცოდვამ მიწია, მძიმე ავადმყოფი ვარ და ექიმებმა მორჩენის იმედი დაკარგეს. ახლა, სიკვდილის წინ, უმორჩილესად გთხოვთ შემინდოთ დანაშაული და ერთი მოკრძალებული თხოვნა შემისრულოთ: მოხუცი დედის, ერთი ქალიშვილისა და მისი ხუთი თვის ძუძუმწოვარა ბავშვის გარდა არავინ მყავს ქვეყანაზე (სიძე რაიონში მუშაობს). ერთი ჯავრი მიმდევს საფლავში: სად არ ვეძებე, რამდენი არ ვიარე, მაგრამ ვერსად ვიშოვე, იქნებ თქვენ მაინც მიშველოთ, დამდოთ პატივი და დავრდომილ კაცს უკანასკნელი სურვილი შემისრულოთ — ჩემი ერთადერთი შვილიშვილი დილიდან საღამომდე საცოდავად ტირის და მის გაჩუმებას საშველი არ დაადგა, იქნებ სადმე საწოვარა („სოსკას“ რომ ეძახიან) და ფაჩუჩები იშოვოთ.

აფსუს, რა დროს ვკვდები! დიასახლისების ჯავრი ვერ ვიყარე. იმათი ბრალიცაა, საწოვარა რომ გაქრა, თურმე ტყემლის საწებლისა და ცხარე პამიდორის წვენის ბოთლების საცობებად იყენებენ. ჩვილი ბავშვები კი სულ დაავიწყდათ... ბოჩოლების საწოვარა მაინც სად გაქრა, რომ იმით მაინც იოლას წავიდოდა ძუძუმწოვარათა თაობა! თორემ რას ჰგავს ეს? იქით ხბოები ცალკე ტირიან, აქეთ კიდევ ეს ბალღები ბღავიან.

პატივისცემით, ალბათ უკვე აწ განსვენებული ვანო გაბრიელაშვილი.

ჩემი მისამართი: თბილისი, ჩუღურეთის პროსპექტი № 136“.

წერილის კითხვა დავამთავრე და ნატოს შევხედე, მან ცრემლები მოიწმინდა და მითხრა:

— ხვალ დილით წადი და სადაც გინდა „სოსკა“ იშოვნე... ნაცნობ დიასახლისებში მიიკითხმოიკითხე, გამოვხარშოთ და ისე გავუგზავნოთ, თორემ მტრისას, აჭიკამ პირი რომ დაწვას ბალანს!

უნდა წავიდე, მეტი რა გზა მაქვს.

თენგიზ პირველი.

# მოზაიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქურდი და ელექტრობა

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში თაღლითებსაც უხდებათ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა— ისინი ცდილობენ შესაძლებლობისდაგვარად დაეუფლონ აუცილებელ ტექნიკურ ცოდნას. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების მწვერვალებისაკენ ლტოლვა ყოველთვის არ მთავრდება მათთვის სახეირო შედეგებით.

ასე მაგალითად, ამას წინათ, ერთი ქურდი პარიზის სამრეწველო მაღაზიაში შეიპარა. ელექტროტექნიკაში ის კარგად იყო გათვითცნობიერებული, ამიტომ ადვილად აღმოაჩინა განგაშის ამტეხი მოწყობილობა და დაუყოვნებლივ გადასჭრა. ამავე დროს, ყოველ შემთხვევისათვის, ქურდმა გამოთიშა გზად შეხვედრილი კიდევ ერთი წყვილი კაბელი, რომლის დანიშნულება არ იცოდა.

ქურდის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მას რამდენიმე წუთის შემდეგ რევოლვერმომარჯვებული მაღაზიის პატრონი წამოადგა თავზე.

საქმე შემდეგში იყო: მაღაზიის პატრონი იქვე, იმავე შენობის მეორე სართულზე ცხოვრობდა., იგი ღამით სიცივემ გამოაღვიძა. საბანი, რომელიც მაღაზიის პატრონს ეხურა და რომელიც ელექტროდენით თბებოდა, ქსელიდან გამოთიშული აღმოჩნდა.



## უსიხარულო იუბილე

ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, პრესაში ასეთი მონაცემები გამოქვეყნდა: თითოეული ფრანგი ყოველწლიურად საშუალოდ 110 ლიტრ ღვინოს სვამს (ანუ 17,8 ლიტრ სუფთა სპირტს). ამ მონაცემების მიხედვით, საფრანგეთს მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.

ციროზით დაავადებულთა დაახლოებით მესამედი ალკოჰოლისტები არიან. საწარმოებში მიღებულ ტრავმათა 15 პროცენტი სიმთვრალეში ხდება.

ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ექსპერტი დოქტორი ფუკე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მთავრობა არავითარ ქმედით ზომებს არ იღებს ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

## თვითმფრინავების გამტაცებლები

როგორც დასავლეთგერმანული ყოველკვირეული ჟურნალი „შტერნი" იუწყება, ინგლისს განზრახული აქვს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოაყენოს წინადადება, რომ თვითმფრინავების გამტაცებელ ტერორისტებისათვის სპეციალური ციხეებიააშენონ.

1972 წლის პირველ ნახევარში მთელს მსოფლიოში 68 თვითმფრინავი გაიტაცეს. აქედან ნახევარზე მეტი — 35 გატაცება ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა.

ამის მიუხედავად, ინგლისელები თვითონ აღძრავენ საკითხს, ციხეები აშენდეს დიდი ბრიტანეთის კუთვნილ სეიშელის ერთ-ერთ კუნძულზე ანდა ინგლისის მახლობელ სილის კუნძულებზე. ეტყობა ინგლისელები ვარაუდობენ, რომ მათს ტერიტორიაზეც კიდევ მრავალი ასეთი შემთხვევაა მოსალოდნელი.





## საფლავები და მიწის სიმცირე

შლეზვიგ-ჰოლშტეინის მხარის ტორნეშის თემის (დასავლეთ გერმანია) სასაფლაოს უკიდურესი სივიწროვით შეშფოთებულმა თემის საბჭოს წევრმა არქიტექტორმა გერჰარდ ნოიმანმა წინადადება წამოაყენა: მიწის ფართობის ეკონომიის მიზნით, მოდით, მიცვალებულები ჰორიზონტალურის ნაცვლად, ახლა ვერტიკალურ მდგომარეობაში დავკრძალოთო.

ეს წინადადება პრესაში გამოქვეყნდა და საზოგადოების დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგალითად, გაზეთის ერთ-ერთი მკითხველი ელზა გელდი ირონიულად აცხადებს: აქამდე მიღებული სიტყვების ნაცვლად— „აქ მშვიდად განისვენებს ნეშტი"... ახლა საჭირო იქნება საფლავის ქვაზე წავაწეროთ — „აქ მშვიდად დგას ნეშტი"...

მეორე მკითხველმა ამალია ბერნემ, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთ საქმეს ხუმრობა არ უხდება, კატეგორიულად მოითხოვა: რაციონალიზატორი არქიტექტორი ცოცხლად ჩავფლათ მიწაში ვერტიკალურადო.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოწინავე ლინოტიპისტი თამარ პოპიაშვილი. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ქაშვეთი. ფოტო გ. კუციავასი.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის— 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/1-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/1-73 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 90. უე 01720.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცა ის გამ-მცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცოხას გამოქვაბული. (ჩეხოსლოვაკია) ფოტო ბ. დადვაძისა



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა